140/3
1955

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიონერი

№ 9
სექტემბერი
1955

საქართველოს ნორჩ მოგზაურთა შეკრებაზე, რომელიც 15 აგვისტოდან 19 აგვისტომდე მიმდინარეობდა ბორჯომ-პარკში, სტუმრად იყვნენ პიონერები მოძმე რესპუბლიკებიდან. სურათზე: ნორჩი მოგზაურები: ქართველი ლამარა ფაცაცია, აზერბაიჯანელი ირა რზაევა, ლატვიელი მარტინშ კუპალაისი და სომეხი პერჩუი ავაკიანი საინტერესო ამბებს მოუთხრობენ ერთმანეთს.

ფოტო გ. ვახტანგაძისა

პ ი ო ნ ე რ ი

№ 9

სექტემბერი, 1955 წ.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

წელიწადი XXIX

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6904

БИБЛИОТЕКА

სიმღერა სკოლაზე

მოვალთ, მოგვყვება სიმღერა
ჩვენი მთების და ველების.
გულებს გვინათებს მზისფერად
ელვარე ყელსახვევები.

მოვალთ! წკრიალებს, ღუღუნებს,
ბუბუნებს ზარი მრავალი
და ერთხმად დაიგუგუნებს
მთა, ხეობა და ტრამალი.

ჰა, სკოლაც. აგერ კარები,
გახსნილი, გახარებული,
აგერ სარკმელთა თვალები
ჩვენს ცქერას დახარბებული.

მოვედით, მოგვყვა ძალღონე
დაუღალავი სწავლისა.
ჩვენი სიმღერა მთაგორებს
ედება, როგორც ზარის ხმა, —

ზარის ხმა მომწოდებელი,
გამხსენებელი ვალისა,
რომ უნდა გავხდეთ მჭედელი,
ლამაზი მომავალისა.

ალექო შენგელია

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო გრელაშვილი

ნახ. ალ. ბანძელაძისა

შერიგება

ქაჯიან ხევს რომ გაივლი და გასცდები ნიაურს, სატალის წვერზე ახვალ და შედგები. აუცილებლად შედგები, თუნდაც არ გინდოდეს შედგები და მერე ჩამოჯდები კიდევაც, რათა დასტკბე შენს თვალწინ გადაშლილი სანახაობით.

გარშემო აზურმუხტებული საძოვრებია, ზურგსუკან პირქუშად გამომზირალი შავი კლდე, ასწლოვანი ტყეები, ჩხრიალა ნაკადულები — ცივი, ისე ცივი რომ, თუ გაუჯიქდი და ზედმეტი მოსვი, კბილებს დაგაძრობს.

მარცხნივ ხუჭუჭა ტყით დაფარული, ერთიმეორის გასწვრივ გადაჭიმული და დატოტვილი ქედები, უზარმაზარი ქვიშისფერი კლდეები, — მდინარე თურდოს სათავეები. მარჯვნივ — ფშაველების სოფელი რუსიანი, ხოლო შორს — ბურუსში თეთრად მოლივლივე გომბორი.

წინ ვეება სვეტივით ჩასმულა კლდე, რომელზედაც აყრილი მუხიანი ისე მოჩანს, თითქოს თავზე ყალმუხის ქუდი წამოუდვიაო. იმას იქით ყანებში ჩაფლულა ხევსურთა პატარა სოფელი ვერონა. თეთრწყლებიდან გომბორამდე დაცემულა მწვანე ველი, რომელზედაც გაფანტულან აქოჩრილი ტყეები, ხოლო მათ შორის თელავიდან თბილისში მიმავალი თეთრი გზა. დაკლაკნილა, ზედ ფერად-ფერადი ხოჭოებივით მღოლავი მსუბუქი და მძიმე მანქანებით.

მზე ბღუჯა-ბღუჯა ყრის მთებს იქიდან ბაჯაღლო სხივებს. იალაზე შეთენილი ნახირი მადიანად მისძოვს ნოყიერ ბალახს. ბღავიან თეთრწითელი და ჭრელ-ჭრელი ძროხები, ბუბუნებენ და რქებით მიწას ჩხვერენ ცხვირში რგოლგაყრილი ბუღები, დაჭიხვინებენ გაუხედნავი ულაყები, დაკუნტრუშობენ ჩალისფერი და ქურანა კვიცები, დახტიან თვალებბრიალა ხბორები და სიხარულით ყოყინებენ გიშრიბეწვა ზაქები.

თედოც შეუსევს თუ არა თავის ხბორებს მსუყე ფერდობს, წამოჯდება გადასახედზე და საღამომდე ვერ ძღება იქაურობის ცქერით.

ეს ერთი კვირაა რაც სატალეში ამოვიდა თედო და ფერმის გამგემ მთელი წვრილფეხობა ჩააბარა მოსავლელად. შარშანაც ხბო-ზაქი ჰყავდა გაპიროვნებული და მთელი ზაფხულის განმავლობაში ორმოცდახუთი შრომადღე გამოიმუშავა. წელსაც გაახარებს დედას შრომადღეებით.

მეორე წელია, რაც თავის მეზობელს მოსდევს ფერმაში და კეთილი ბრიგადირიც ბიჭს ყურადღებას არ აკლებს. ფერმის გამგემ კი მშვენიერი, ახალი ნაბადი მისცა და თედოც დარში თუ ავდარში სიამოვნებით დაატარებს ყველგან გრძელი კალთების თრევით.

პატარა ხანჯალი თვითონ წამოიღო სახლიდან და ახლა ერთი ბანჯგვლიანი წოწოლა ქუდი-ღა აკლია, თორემ ნამდვილი მწყემსია. ქალამნების ამოსხმა თვითონ იცის და კავ-კომბალს გამოსჭრის ისეთს, რომ თვალი ზედ დარჩებათ უფროსებს. უაღრესად კეთილი ბიჭია თედო, წყნარი და გამგონი. ტანად კი, როგორც სოფლელები ამბობენ, მამასა ჰგავს, რომელმაც, თურმე მარტომ ამოიტანა რიყიდან ის დიდი ქვა, ახლა რომ კარების ძირში დაატანეს ახალი კლუბის შენობას.

დადის თედო ქამარში გაჩრილი წიგნით და თავის ნახირს ახლა უკვე მისთვის განკუთვნილ საძოვარზე დაატარებს, რომელიც ფერმის გამგემ საგანგებოდ გამოუყო ხბო-ზაქს, რათა ბიჭმა ბევრი ყიალით არ იწვალოს.

დღემდე ისე მიიჩვია თავისი სამწყსო, რომ თავიანთი სახელის გაგონებაზე კუნტრუშით მორბიან ხბორები, პატარა მწყემსს ხელებს ულოკავენ და პაწაწინა რქებით ებუჩავებიან. განსაკუთრებით ის წითელი ხბო უყვარს თედოს, ზურგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან მოყოლებული სიჭრელე რომ ჩასდევს მუცლამდე. დაინახავს თუ არა „ჯონქა“ ჩაცუცქულ ბიჭს, გამოქანდება და თავდაღუნული დაეჯახება სახის წინ აღმართულ ხელის გულებზე. მწყემსი ყირამალა გადადის და ხბოც კმაყოფილი უცდის მის წამოდგომას, რათა კვლავ გაიმეოროს დარტყმა. „ზორბა ხარი დადგება“, — ასკვნის ბიჭი და აწყნარებს აღგზნებულს.

გაივლის დღე და საღამოს, როცა ძროხა მოიწველება და ყველა სამუშაო მთავრდება, როცა სატალის წვერზე შემდგარი მთვარე ვერცხლისფერი შუქით დაფერავს იალღსა და ტყეებს, როცა ჩანგლიანი ძაღლების ნაწილი ბაკებს მიუწვება და ნაწილი ახლო-მახლო წვრილიანში დაეხეტება — უყეფს ტოტიდან ტოტზე მხტუნავ ციყვებსა და ღრენით აცილებს აკივლებულ მიკიოტს — ცეცხლის პირას, გემრიელი ვახშმის შემდეგ, გადავლენ ფერადი ზღაპრების ქვეყანაში და თედოც თვალებგაფართოებული ისმენს უსიერ ტყეებში მზეჭაბუკის მძიმე ნაბიჯებს და შორეული მთების ორწოხებში აბორგებული ამირანის გრგვინვას.

ზოგჯერ თვითონ მწყემსები მოსთხოვენ და ბიჭიც ხალისით გადაშლის რომელიმე წიგნს, ან ბარიდან ამოტანილ ახალ გაზეთს... მწყემსები სიყვარულით მოუთათუნებენ ბეჭებზე ხელს დაძინების წინ და შეაქებენ ხალისისა და შრომისმოყვარეობისათვის.

* * *

ასე მიდის დღეები, ასე მიდიოდა დღემდე, მაგრამ დღეს დიდი უსიამოვნება შეხვდა და ეწყინა მორჩილსა და გამგონე ბიჭს.

შუადღის ხანს ამოვიდა ბინაში მისი თანაკლასელი და ჩხუბისთავი „უაპუაპა“. ამოვიდა და მაშინვე მამას მიუხტა.

— შენ რა, წელს ისევ იმას ჩააბარე ხბორები?

ფერმის გამგე განცვიფრდა.

— დაჯექი, დაისვენე, შვილო. რა ხბორები, რას ამბობ?

— რასა და იმას ვამბობ, რომ ისევ იმას მიეცი ხბო-ზაქი — მეთქი?

— რა მოხდა მერე, შვილო? შარშან მშვენივრად დაასუქა და წელსაც კარგად ურჩევდა საძოვრებს, სანამ მე თვითონ არ მივეცი ტყისპირა მინდორზე ყორული.

— ყორული მისცა, ყორული მისცა! მე რამდენი გეხვეწე შარშან და არ მომეცი! დახე, რომ წელსაც ამომასწრო! ეგ უენო, ეგა! მაგისგან რა მწყემსი უნდა გამოვიდეს? ახლავე უთხარ, — თავი დაანებოს, თორემ, თუ ჩავედი, სულ ცხვირ-პირს დავალეწავ.

გაწყრა ფერმის გამგე:

— შენ აქ იჯექი და ფეხი არ მოიცვალო, არც ხმა გასცე! — მერე დაუყვავა. — რა გინდა, შვილო, ბიჭი ისედაც დაჩაგრულია უმამობით და შენი ჩხუბის თავი აქვს? ისეთი ჭკვიანია, რომ ორ სიტყვას ზედიზედ არ იტყვის. გაუშვი სდიოს, რას ერჩი?

— არა, მამი, ამას ვეღარ მოვუთმენ! მაგან იცოდა, რომ მე უნდა ამოვსულიყავ აქ და ამიწეგ წაეპოტინა.

— ნუ შვილო, ნუ, აბა რა გაჯავრებს? გაუშვი ორიოდე შრომადღე მაგანაც გააკეთოს.

— ფერმის გამგე შენა ხარ და გინდა წაართმევ, გინდა მისცემ. ამოვიდა აქ რძე-მაწონის სათქვეფლად! წავიდეს და იმუშაოს ვენახში. შარშან მაგისმა დედამ მარტო პრემია ოთხასი კილო ყურძენი მიიღო თავისი ნაკვეთიდან. წავიდეს და იქ იმუშაოს.

ფერმის გამგე არ დაეთანხმა.

— არა შვილო, იქ საბალღო საქმე არა არის რა, ხოლო თუ არ დაგიშლია, წადი შენცა და ერთადა მწყემსეთ ორივემ.

— ოჰო! ყელზე დაადგება! მე კუდში ვდიო ბოჩოლებს და მაგან შრომადღეები დაიწეროს?

— აბა, მაშ, რა გიყო, შვილო? აი, თუ გინდა, ნახირში გაჰყე ხოლმე ბაზერაანთ ლადუას, ან კიდევ ჯოგში წაგიყვანს ნაცარაანთ თამაზა...

— მე არც ჯოგი მინდა და არც ნახირი, მე რასაც გეუბნები, შენ ის გააკეთე.

ფერმის გამგემ გრძელი ჯოხი აიღო და ყველის საკეთებელ ფიცართან მოფუსფუსე ბრიგადირს მიუბრუნდა.

— მე რუისპირელების ბინაში გადავალ და დვრიტას გადმოვიტანთ, თორემ გაგვითავდა და, სანამ იყალთოდან ამოვიტანთ, ყველს რითი გავაკეთებთ?

ბრიგადირი წელში გაიშალა და იდაყვზევით დამკლავებული, ხშირბალნიანი მაჯით შუბლი და თვალები მოიწმინდა.

— რა გეჩქარება? დვრიტა ხვალაც გვეყოფა

— შენ აქ იჯექ და ფეხი არ მოიცვალო, არც ხმა გასცე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, თუ ძალიან გაჭირდა, სოკოთი ჩავადედოთ. ხევსურები ზოგჯერ ხმარობენ სადედეთ.

— სამაგისო რა გვჭირს, რომ სოკოთი ვადედოთ დელამა? იმით ნაკეთები ყველი სურნელებასა და გემოს ისეთს ვერ იღებს, როგორც დვრიტით. საღამომდე დავბრუნდები. ეს ჯეელი კი იმ ბიჭთან არ გაუშვა, არა მოსწიოს რა.

— წადი, შენ არხეინად იყავ. ეს ისეთი ბიჭი კი არ არის! არა უშანგ? ჰე, ბალღები ხართ და სულ ფეხის ფრჩხილებზე დგახართ.

და როცა ფერმის გამგე ტყეში შეერია, უშანგი წამოდგა და ჯოხი აიღო.

— სად მიხვალ? — თავი ასწია კასრების რეცხვაში გართულმა ბრიგადირმა.

— არსად, ქვევით მინდა ჩავიარო.

— სად ქვევით? დაჯექ და წიგნი წაიკითხე.

— ი, სკოლაშიაც მეყოფა წიგნის კითხვა და ჩიჩინი.

— დაჯექ-მეთქი, ბიჭო! დაჯექ და, თუ წიგნის კითხვა გეზარება, კასრების რეცხვაში მომეხმარე.

— ეგლა მაკლია! „დაჯექი და რეცხე!“ მე აქ მაგისთვის კი არ ამოვსულვარ. უნდა გავიარო, მუხლი გავმართო და ტვინი დავასვენო. წიგნი წაუკითხე და ჭურჭელი დაურეცხე! შენ იქნება შილაფლავის გაკეთებაც დამავალო.

— შენ არავინ არაფერს გავალებს, ბიჭო. აი, დაჯექ და მამაშენს დაუცადე. მოვა და მერე სადაც გინდა წადი.

— სანამ მამაჩემი მოვა, თვალთან თითს ვეღარ მიიტან, ისე ჩამობნელდება.

— შენც ადექ და ხვალ დაათვალიერე ყველაფერი. სუფთა ჰაერი აქაც არი.

— ახლა შენ ქოხში დამაბამ კიდეც, განა!

— მაშ თუ აგრე გინდა გავლა, წყალი ამომიტანე ხევიდან. მაგრამ დაიცა, ერთად წავიდეთ... გადი იქით, ალმას! ტყუილად ემზირები! აგე, შრატი დალიე თუ გინდა... აჰა, ეს სურა და წავიდეთ... რძეს პირი არ ახლო ალმას!

წყალი ამოიტანეს. უშანგიმ რაკი დაატყო არც ხვეწნით გამოვა რამეო, ბედს დაემორჩილა. ჩამოჯდა და თაროდან აღებულ წიგნს დაუწყო ფურცვლა.

— აგრე შვილო. დაჯექ, და როცა მამაშენი მოვა, გაუტიე სადაც გინდა. ჰაი, რა ხართ ბალღები! ერთ ადგილზე კაცი ვერ გაგაჩერებთ, — სულ დარბიხართ, დახტიხართ და ქვეყანას იკლებთ ჭყივილით. რა გინდათ, შვილო, მეტი? ყველაფერი თქვენთვისა კეთდება და ოთხივ კუთხივაც გზა გაქვთ გახსნილი. ეეჰ! მეც ბალღი ვიყავი. ჰაი, ჰაი, რომ ვიყავი, მაგრამ მოჯამაგირედ ვიდექ ნახირში და, რასაც ნახირის პატრონი მეტყოდა, კანონიც ის იყო. სად წახვიდოდი და ფეხს სად გადაადგამდი? ბალღს დღეობაში წასვლა მენატრებოდა და სანამ ცხრამეტი წლისა არ გავხდი, თელავი არ მენახა. ახლა კი, თქვენი ტოლები ქალაქში ჩადიან და ამოდიან. აი, ბალღობა თქვენ უნდა დაიკვეხოთ, მე ვინ მაჩვენებდა კინოსა და წარმოდგენას? დღე და ღამე ნახირში ვეგდე და ქუმელსა ვზელავდი ცივ წყალში. ჰე, ჰე! რა დრო გაქვთ ბალღებო! ბიჭა ბატკნებიდან დასტა ხართ და არ იცით დარდი რასა ჰქვიან ქვეყანაზე. აი, მაგალითად... ეგ გამშრალი პარკი მომაწოდე. მაგალითად, იმას გეუბნებოდი რომა... შენ არ გესმის პარკი მომაწოდე-მეთქი?!

მოხუცებულმა ბრიგადირმა ყველის კეთებას თავი ანება და, როცა ზევით აიხედა, განცვიფრდა.

უშანგი არსად ჩანდა.

— სად ეშმაკებში წაეხირა?

ბრიგადირმა ქოხს შემოუარა, მერე ტყის პირსაც გახედა, მაგრამ ბიჭი არსად ჩანდა.

* * *

შუადღის შემდეგ ამინდი ძალიან შეიცვალა. თედომ ქორიასთან თამაშს თავი მიანება და ნაბადი მოიხურა ბეჭებზე.

ნელნელა დედდებოდა და სქელდებოდა ნისლი. ტყიანიდან ყორუღზე მოიპარებოდა და ნაცრისფერ ბურუსში ჰხვევდა იქაურობას. ამ დროს იცის ნადირმა დატანება: ტყიანიდან გამოვა, ნისლს ისაფრებს და მერე მშვიდობით!

თედომ იცის ესა და ამიტომ წამოდგა.

— წავიდეთ, ქორი!

ტყის პირას მისულმა თედომ შუა ყორუღებისკენ გარეკა ხბორები, ხოლო თვითონ გამოცდილი მწყემსივით დაუდგა ტყის მხრიდან და გრძელ კომბალს დაეყრდნო. თვალი კარგი ჰქონდა და ბურუსშიც არჩევდა თავის სამწყსოს. მიიძოვდნენ ხბორები და ისმოდა ბალახის წიწკნის ხმა.

უეცრად ძაღლი წამოვარდა ღრენით და ნისლებში შევარდა. გაისმა ყვირილი და ძაღლიც მიყუჩდა.

თედომ იგრძნო, რომ მხრებზე რაღაც დაახტა, და პირქვე დაეცა. დაბნეულმა ხელი უნებლიედ იქით წაიღო, სადაც ჩვეულებრივ ხანჯალი ეკიდა. ხანჯალი არსად ჩანდა. მაშინ წამოვარდა ფეხზე და გრძელი კომბალი ზევით შეაქნია. შეაქნია და ჰაერშივე გაუშეშდა.

მის წინ თმახუჭუჭა ბიჭი იდგა და მის ნაბადს მხრებზე ისხამდა.

— მოიტა ეგ კომბალიც, შე ჩანჩურავ, შენა!

თედომ კომბალი დაბლა დაუშვა და ღიმილით წაილაპარაკა.

— შენა ხარ, უშანგ? მე მეგონა ფოცხვერი დამაცხრა-მეთქი. როდის ამოხვედი?

— შენი საქმე არ არი როდის ამოვალ, სად მივალ და სად მოვალ. მომეცი აქ კომბალი.

თედო იღიმებოდა.

— კომბალი? რად გინდა კომბალი? თუმცა, აჰა, წაიღე, მე სხვას გამოვჭრი. ოღონდ, აი, ნაბადი მომეცი... შენ პალტოც გაცვია და ეგ რაღად გინდა?

უშანგმა გამოწვდილი კომბალი ჩამოართვა.

— აგრე! ახლა კი მოუსვი აქედან და დილაზე არც ქოხში დამენახო.

თედო განცვიფრდა.

— რად უნდა წავიდე? მე აქ ხბორებს ვუდგევარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშანგმა თვალები დააბრიალა:

— გეუბნებიან წადიო და მაშასადამე, უნდა წახვიდე! ხბორებს უშენოდაც მოუვლიან. მამაჩემთან ხმა- კრინტი არ დაძრა, თორემ ისე გაგიხდი მაგ ცხვირს, რომ დედაშენიც ვეღარ გიცნობს. წადი ახლა აქედან! დილაზე კი აიკარ გუდა-ნაბადი. მამაჩემს უთხარ, რომ აქ უკვე მოგბეზრდა და გული ახლა შინ მიგიწევს.

თედომ ისევ სცადა გაღიმება.

— კარგი ახლა, მომეცი ნაბადი.

— შენ რა, ქართული არ გესმის?

— ხბორებს როგორ დავანებო თავი?

— შენ ხბორებს არავინ არ გეკითხება, უშენოდაც იოლას წავლენ.

— როგორ თუ იოლას? ხბორები ჩემზეა გაპიროვნებული!

— დღეიდან აღარ იქნება. მამაჩემს ვეტყვი და ამ საღამოსვე ჩემზე გავაპიროვნებინებ.

თედოს თვალებზე ცრემლი მოადგა. თვალწინ წარმოუდგა შარშანდელი ზაფხული, საკოლმეურნეო წიგნაკში ჩაწერილი შრომადღეები, შეჩვეული ხბორები და დაენანა მათი დატოვება; დაენანა და შეემუდარა ნაბდიანს:—კარგი, უშანგ, გქონდეს ნაბადიცა და კომბალიც, ჩემთვის სხვა კომბალს გავთლი და ორივემ ვმწყემსოთ საქონელი.

— არ იქნება, ხბორებს ორი კაცი არა სჭირდება.

— სულ დაგიჭრელებ კომბლის ტარს და კავსაც გაგიკეთებ.

— არ იქნება-მეთქი, ვერ გაიგე? მომშორდი ახლა!

— ხბორები ცოდონი არიან ბიჭო.

— ახლა აქაც დამიწყე ჭკუის სწავლება? ამ წინაზე არ იყო, რაზმის შეკრებაზე რაები არ დაამლაშე? შენს მეტმა ის ზამბარა არავინაც არ დაინახა. შენ მოაწვევინე შეკრება და შენვე გააჯორინე მოსწავლეებს ჩემი თავი.

— ჩემი რომ ყოფილიყო, ხმას არ ამოვიღებდი, მაგრამ ზამბარა სკოლას ეკუთვნოდა და საერთოსთან რა ხელი გაქვს?

— რა ხელი მაქვს? ჰა, მაშ რა ხელი მაქვს? აი, თუ არა მაქვს, შე ნაცარქექიავ, შენა! აი, თუ არა მაქვს!

და თედო საშინელი ბიძგებისაგან ბალახებში ჩაჯდა.

ბიჭი უმალვე წამოდგა, მაგრამ ახლა სარმა გამოჰკრეს და ისევ მიწაზე დასცეს. თავზე წაადგა წაქცეულს ნაბდიანი, მისწვდა და ყელში წაუჭირა.

ამას კი არ მოელოდა წაქცეული. სწვდა ზევიდან მოქცეულს ხელებში და, როგორც იყო, მარწუხივით თითები მოიშორა. მაგრამ ახლა ზედ გადააწვა ნაბდიანი და საშველი აღარ მისცა.

— არც ახლა წახვალ, დაბდურო, არც ახლა წახვალ?!

ერთი წლით უფროსი იყო უშანგი. შარშან მეექვსე კლასში დარჩა და წელს რის ვაივაგლახით გადავიდა მეშვიდეში... ყველა ერიდებოდა მასთან

— შენა ხარ, უშანგ? მე მეგონა ფოცხვერი დამაცხრა- მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავას, — მით უმეტეს თედო, მაგრამ აი, აჰა, მაინც არ ასცდა.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა „ბრძოლა“. ზევიდან მოქცეული ვიღაცის ძლიერმა ხელმა აიტაცა.

თედომ წამოიწია, დააკვირდა და ფერმის გამგეიცნო.

* * *

შებინდებიდანვე დაიწყო დელგმა.

მოქურუხებულმა ცამ ერთბაშად მოხსნა პირი, და წამოვიდა კოკისპირული.

ქარმა და წყალმა დაჰრია ხელი ტყესა და იალაღს.

შიშისაგან აყმუვლდნენ ძაღლები, საწყალობლად აბღავლდნენ ხბორები. ქოხში ცეცხლი ჩაქრა და ჩამოწვა კუნაპეტი.

წვიმა თავისას არ იშლიდა: ასხამდა ღვართქაფად და მთიდან მთაზე გაჰქონდა გრგვინვა და ქუხილი. წვიმის ხმიანობამ ყოველგვარი სხვა ხმა ჩაახშო და, სადამდისაც მისწვდა, გაუშვა თარეში.

— ავი ღამეა და დიდი სიფრთხილე გვმართებს ბიჭებო, — გააფრთხილა ფერმის გამგემ მწყემსები.

მთელ ღამეს იყეფებოდნენ ძაღლები და დროდადრო უტევდნენ ტყის პირისა და ქაჯიან-ხევისაკენ.

— ნადირი ეტანება, წვალობენ ძაღლები.

— უქმური ღამეა წყეული.

— ჰე-ჰე-ჰე-ჰეეე! დაიჭი, ქედან! მიდი, ცუნცულ! — ძაღლები დაეშვნენ შამბიანისაკენ, ბიჭებო! აბა, გადადექ წიფელთან და გასჭყივლე, აბრი!

— ჰე-ჰე-ჰე-ჰეეე!

ისმოდა ძაღლების გნიასი, ღრენა და ხროტინი.

— დაცალეთ თოფი, ბიჭებო, ჩხუბი აქვთ, ალბათ. დაცალეთ, თორემ ეტყობა უჭირთ!

— ჰე-ჰე-ჰე-ჰეეე! ქედან, ორუჯ, ქორიიი! აქა-აქა-აქაააა!

— ცუნცულას დაუძახე, ცუნცულას, ეგ გასდევს ხოლმე შორს!

ძაღლები მობრუნდნენ, მაგრამ ზოგიერთს ძაღლური გული მაინც უღრინავდა, დროგამოშვებით შედგებოდა და შამბიანისკენ პირშექცეული ისევ იყეფებოდა. ბოლოს მაინც ამოვიდნენ ზევით და ბაკების გარშემო დაყუნტდნენ.



პალტოსა და ნაბადში გახვეულ უშანგს თავი უნაგირის ბალიშზე მიედო და გატრუნულიყო.

პალტოსა და ნაბადში გახვეულ უშანგს თავი უნაგირის ბალიშზე მიედო და გატრუნულიყო. ვერაფრით ვერ მოენელებინა, რომ მამამისმა სხვისი შვილის გულისთვის კარგა რიგიანად გაწკეპლა და უბრძანა: დილაზე ქოხი დაეტოვებინა და ისევ სოფელში ჩასულიყო.

„ჰოი, ეგ უენო ბაბაყული, ეგა! ვითონ ვაჟკაცობა გამოიჩინა, ისევ მე წავალ სოფელში, გაუშვი ეგ დარჩეს აქაო! ვერ უყურებ შენა! მამაჩემი რაღამ გადარია! ხბო-ზაქი შენზეა გაპიროვნებული და შენა ხარ მაგათზე პასუხისმგებელიო. არა, ეგ როგორ ირჩია ჩემ თავს? მასწავლებლებსაც აგრე „აბამს“. ფრიადოსანი გახადეს! დადის ჩუმად წყნარად, ვითომ ჭიანჭველასაც არ

თითქმის ყველანი ბაკისაკენ გაიქცნენ და ძლივს შეაბრუნეს ბალანაშლილი ხბორები, რომლებიც ბრმებივით მიიწევდნენ წინ და გარეთ გაცვივნას ცდილობდნენ.

განთიადის ბურუსში დანარჩენ მწყემსებს ბაკისკენ მოჰყავდათ ბოჩოლები, რომლებმაც მოასწრეს გარეთ გავარდნა...

დილით ქარი ჩადგა, ნისლებიც სატალის წვერს ასცილდნენ და გომბორისკენ გაცურდნენ.

საღამო ხანს დაქანცულები დაბრუნდნენ სოლიკო და ალექსა.

— მთელი ტყე-მინდორი შემოვიარეთ და კვალსაც ვერ წავაწყდით. რუისპირელებსაც ვკითხეთ და თქვეს, ფერდჭრელი ხბო ჩვენ სულაც არა გვყავსო.

— იქნებ ბაკანელ ხევსურებს ენახოთ?

— არც იმათ უნახავთ, მთიბავები შეგვხვდნენ და ვკითხეთ.

— აბიდასტურში?

— არც იქ გამოჩნდა.

— ქორიასი რა გაიგეთ?

— არც ისა ჩანს.

— აფსუს, რა ძაღლი იყო! ალბათ, ხბოს გაჰყვა და მგლის ხროვას გადააწყდნენ... კარგით, დასხედით. რა ვქნათ, თავებს ხომ არ დავიხოცავთ? დასხედით, ამ ბალღსაც დღეს ლუკმა არ ჩაუდვია პირში, დასხედით და პური ჭამეთ.

გულდამდუღრული თედო გაბრუნდა და ტყეს შეერია, ხოლო, როცა დახშირბინდდა, მივიდა და ბოჩოლების ბაკის კარებთან მიეგდო.

— რას შვრები, შვილო, თავს რაზე იკლავ? ჭამე პური.

მაგრამ ნაბადში მოკუმშულსა და ბაკის კარისკენ პირშექცეულ თედოს გაგონებაც კი ეზარებოდა და უხმოდ წაართვა ფერმის გამგეს ნაბადის კალთა, როცა ის თავს დაადგა და ძალით სურდა წამოყენება.

— „მანუგეშებენ, ხბო რა არისო! ვაი სირცხვილო! კაცმა თავის ღვიძლ შვილს არ ანდო მოსავლელად და მე რა ვქენი! არა, სადღა უნდა გამოვყო თავი? როგორ დამავიწყდა ბაკის კარებში ხარიხების გაყრა?... ვაი, შენ ჩემო თავო, რამ გამომაჩერჩეტა, რამ გამომაყრუა? აგრე კარგი მაინც არ ყოფილიყო ის დაღუპული!“

და ბიჭმა იგრძნო როგორ მოსწყდა წამწამებს ორი ცრემლი...

* * *

დილით პირველად აბრია მივიდა ხბორების ბაკთან და ნაბადს ასწია.

— ადე, შვილო, მოდღევდა უკვე. დილით მაინც ჭამე პური, სანამ საბალახოდ გარეკავ.

ბრიგადირმა პირი დააღო და ხელი ჰაერშივე გაუშეშდა როდესაც ბაკის კართან მხოლოდ ნაბადი იპოვნა.

— ბიჭოს! — ბუტბუტებდა თავისთვის გაოცებული მოხუცი. — ე ბალღები ნამდვილად გადამრევენ, მე და ჩემმა ღმერთმა!

— რა იყო აბრი? — გამოეხმაურა ფერმის გამგე.

— რა იყო კი არა, აი, ნაბადი ვიპოვე და ბალღი ვეღარ!

— რათ, ბალღი არ არის მანდა?

— ანდე, ვერა ხედავ, რომ არ არი?

ფერმის გამგეს პირკატა ეცა.

— რას ამბობ, აბრი?

— მართალს გეუბნები. აი, ნაბადი აქ არი და ბალღი აღარ!

— მაშ, სად უნდა წასულიყო?

— რა ვიცი, ალბათ, წყალზე თუ წავიდა პირის დასაბანად.

— რას ამბობ, კაცო, ი ბალღი აქამდე პირდაუბანელი დარჩებოდა?

— აბა რა ვიცი, იქნება შეშაზე წავიდა? მაგისი წალდიც არა ჩანს აქა.

— ნამდვილად შეშაზე წავიდა. გიგლა, ხბორებს რა ვუყოთ?

ფერმის გამგემ მიიხედ-მოიხედა და ქოხის კარებთან ატუზული უშანგი დაინახა.

— აი, ამ დამთხვეულს გავატანოთ. მოდი აქ, ბიჭო!

უშანგი მივიდა.

— წაიყვა ეს ხბო-ზაქი და ყორულში ჩაიყვანე, სანამ ის ბიჭი მოვა შეშიდან.

უშანგმა სიხარულით გააღო ბაკის კარები...

შუადღისასაც არ გამოჩნდა თედო. ხოლო, როცა საღამო ხანზე ძროხა მოწველეს და ხბორებიც ბაკში შერეკეს, ფერმის გამგე უკვე გრგვინავდა:

— მაგისი ბრალია, მაგ არდასაცალებლისა! მაგას რომ არ ეცემნა, ის ბალღი აქედან არ წავიდოდა!

არც ნავახშმევს გამოჩნდა თედო და ახლა კი ყველა დარწმუნდა, რომ ბიჭი სოფელში წავიდა.

— სად არის შოლტი? მომეცით აქა! მომეცით, ერთი!

მწყემსებმა ძლივს გააგდებინეს ხელიდან შიშისაგან მობუზული უშანგი.

— რაღა პირით უნდა შევხედო იმ დედაკაცს? არ იტყვის, ერთ ზაფხულს ბალღი ვერ შემინახაო?! რას ერჩოდი, შვილო, რა გინდოდა, ვერ ეტეოდი ამოდენა მთაში? ამ უქნარას რომ არ აემღვრივნა, იმ ბალღს ბაკის კარების დაკეტვა არ დაავიწყდებოდა! მერე რა ხბო დაიკარგა, რა სახარე! აი, გაგიწყრეს ჩემი გამჩენი, კაი ბალღი შენა ხარ! დილაზევე აიკარ გუდა-ნაბადი და აქ აღარ დაგინახოს ჩემმა თვალებმა!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრობა

130 წლის მოხუცი ალექსანდრე ჯაფარიძე პიონერებს ესაუბრება.

საქართველოს ალკკ მესტიის რაიკომის მდივანი უჩა ხარძიანი მოსკოველ, ტუშინოელ, და თბილისელ პიონერებს აცნობს სვანეთის წარსულს.

შესრულდა ათი წელი მოსკოველი, ტუშინოელი, თბილისელი, ლენტეხელი და მესტიელი პიონერების დამეგობრებიდან. გასულ თვეს პიონერბანაკ „მეგობრობაში“ თავი მოიყარეს რუსმა და ქართველმა პიონერებმა და ზეიმით აღნიშნეს ღირსშესანიშნავი თარიღი.

აფრიალდა ანძაზე პიონერული ალამი. რუსული, ქართული და სვანური სიმღერა მთელს ენგურის ხეობას მოეფინა. საღამო ხანად ვეებერთელა პიონერულმა კოცონმა გაანათა ენგურის ჭალები:

„ხუთი მხარის პიონერების ეს დიდი მეგობრობა, — გვიამბო ტუშინოს მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე ნინა ნიკანოროვამ, — სულ პირველად ჩვენი პიონერების პატარა ბარათით დაიწყო. წერილს მოჰყვა წერილი, საჩუქრებს — საჩუქრები. გადიოდა წლები. წრეში მოსკოველი, თბილისელი, და ლენტეხელი პიონერებიც შემოგვიერთდნენ. ათ წელიწადში კიდევ უფრო გამოიწრთო ჩვენი მეგობრობა.

ასევე გულწრფელი, მეგობრობითა და სიყვარულით იყო აღსავსე მოსკოველი პიონერების ირინა კოგტევას და სვეტლანა კალინკინას სიტყვები:

„ჩვენი მეგობრობის ათი წლის მანძილზე მესტიელი პიონერები ორჯერ გვეწვივნენ დედაქალაქში; ჩვენთან ერთად დაათვალიერეს მოსკოვი და უკანასკნელად, გამომშვიდობებისას, თავისთან დაგვპატიჟეს მესტიაში.

ამ ზაფხულს ჩვენც გამოვწიეთ საქართველოსკენ. ჩამოვედით სვანეთში — მაღალმთიან საოცნებო მხარეს, ჩვენი მეგობრების მხარეს ვეწვიეთ.“

დაუვიწყარი მოგონებებით, წარუშლელი შთაბეჭდილებებით, სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობით აღვსებული გაემგზავრნენ მოსკოველი და ტუშინოელი პიონერები სვანეთიდან. თან წაიღეს ძვნად მირთმეული ქართული ხილი და სვანური ქუდები... გაივლიან წლები, დაიზრდებიან პატარა მეგობრები, ბევრი რამ იქნებ დაავიწყდეთ კიდეც, მაკრამ არ დაავიწყდებათ „მეგობრობის“ ბანაკში სტუმრად წვეული 130 წლის ქართველი მოხუცის ალექსანდრე ჯაფარიძის სიტყვები:

„მიხარია, რომ ერთმანეთთან ასე ხართ დაახლოებული. გული მწყდება, რომ ასე არ იყო ჩემს ბავშვობაში.

იზეიმეთ და ილხინეთ, ჩემო პატარებო! გიყვარდეთ ერთმანეთი ათი რა არის — ასი, ათასი წელი იდღეგრძელოს თქვენმა მეგობრობამ!“

რუსუდან პერკინა

ეროვნული ბიბლიოთეკა



სიმონ შამშრიანი

ნახ. გ. თოთიბაძისა

სტუმრად მოსკოველ პიონერებთან

„მუდამ სიამით ვიგონებთ
სტუმრობას თქვენთან—სვანეთში,
ჩანჩქრების, ლურჯი ქედების,
ორბ-არწივების მხარეში.

ახლა ჩვენ გეპატიჟებით,
გვაქვს ერთი წრფელი წადილი:
განმტკიცდეს ჩვენი კავშირი
და მეგობრობა ნამდვილი.

მოდით, გვეწვიეთ უთუოდ,
მოუთმენელად მოგელით.
პიონერული სალამით
ხელს გართმევთ ტუშინოელნი“.

ასე გულთბილად მოგვმართეს
ჩვენმა ტოლებმა შორიდან
და ეს ამბავი მესტიას
ზღვა სიხარულით მოვიდა.

და ახდა ბევრი მთიელი
ყმაწვილის ღელვით ნანატრი —
ენახა დედა მოსკოვი,
მსოფლიოს მზედ რომ დანათის.

მათ შორის მეც მხვდა წილადა
ეს დიდი ბედნიერება.
წავედით... თვალი მოგვტაცა
რუსეთის ვრცელმა ველებმა.

და ბოლოს, აჰა, გამოჩნდა
სამშობლოს ფიქრი და გული...

ჩერდება მატარებელი,
ხმიანობს კურსკის სადგური.

გვხვდება სადგურზე ყვავილი,
ტაში და თვალთა ციმციმი...
ჩვენს ტუშინოელ მეგობრებს
ვეხვევით, ვკოცნით, ვიცინით.

და როცა სტუმრებს მოსკოვმა
კარები ფართოდ გაგვიღო,
რა იყო ფიქრით ნანახი!
ან გაგონილი რა იყო!

გაოცებულნი ვუცქერდით
ქალაქს მბრწყინავს და გოლიათს.
მსგავსი მისებრი მშვენების
არც ზღაპრად გამიგონია.

გვაფრთოვანებდა ყოველი —
გავიხედავდით საითაც;
ულამაზესი სახლები
ცას ხევდნენ უშბასავითა.

ენგურის ზვირთებს მოჰგავდა
ქუჩებში დენა ხალხისა...
ძარღვებში დამკრა ურიალმა
ძვირფასი კრემლის ნახვისას.

კრემლი! — ეს წმიდა სათავე
სინათლის, ბედნიერების,
ვინც მტკიცედ დაუძმობილა
კაცი კაცს, ერებს— ერები,

თავს დაგვცქერიოდა მღიმარი
ნამდვილი მშობლის იერით,
გვესმოდა მის წინ მდგომარეთ
სამშობლოს სუნთქვა ძლიერი.

მავზოლეუმთან დუმილით
შევფიცეთ უკვდავ ბელადებს —
ხალხის სამსახურს მივუძღვნით
ჩვენი სიცოცხლის ყველა დღე.

თავი სიზმარში მეგონა,
როცა მეტროში ჩავედით,
გადაგვეხურა ლაჟვარდი
ხომლებით მოჩახჩახეთი.

სულ მოვიარეთ მოსკოვი,
რაც გვსურდა ვნახეთ ყოველი,
თავს გვევლებოდნენ, გვალხენდნენ
ტოლები ტუშინოელნი.

მაშინ ვიგრძენი — რუსის გულს
რა დიდი სითბო ჰქონია...
თურმე მოსკოვშიც რამდენი
დები და ძმები გვყოლია!...

გავანდეთ გულისნადები,
გაგვიზიარეს ფიქრები;
ერთმანეთს სიტყვა მივეცით,
რომ მუდამ ერთად ვიქნებით;

ხელი ხელს მივცეთ, გული—გულს,
სულ წინ ვიაროთ ყოველთვის.
გმირული შრომით, სწავლითა,
ვადიდოთ მზე საბჭოეთის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ს. იორამაშვილი

ნახ. კ. მახარაძისა

გმირის გავშვება

გასულ წელს ჩვენთან ერთად ბორჯომში საბჭოთა კავშირის გმირი ისვენებდა. მე რატომღაც განსაკუთრებით ვაკვირდებოდი და ვცდილობდი მეპოვნა მასში ის, რაც გმირს ანსხვავებს დანარჩენთაგან, როგორც პიროვნებას. მაგრამ საკმაო დაკვირვების შემდეგ დავრწმუნდი, რომ იგი არაფრით არ განსხვავდებოდა სხვა დამსვენებლებისაგან. ყოველ შემთხვევაში, პირველი შეხვედრებით მას არ დაუტოვებია მაინცდამაინც განსაკუთრებული შთაბეჭდილება. ფართო მხარ-ბეჭითა და უკვე საკმაოდ გათხელებული წაბლისფერი თმებით ქართველი ვაჟკაცის ჩვეულებრივს, ფიზიკურად ნორმალურად განვითარებულ ტიპს წარმოადგენდა, რომლის მსგავსნი არც თუ ისე ცოტანი გვხვდებიან ჩვენს პატარა ქვეყანაში. ოღონდ, თუ არ ვცდები, თვალები ჰქონდა რაღაც თავისებური.

გარდა ამისა, ხასიათით ძალიან სადა და მორიდებული ადამიანი იყო. მთელი თვის განმავლობაში არ შემიმჩნევია, რომ თავის უპირატესობისათვის ხაზი გაესვა.

ერთხელ, ჩვენს ახლოს დაბანაკებულმა პიონერებმა შეხვედრა მოუწყეს გმირს. შეხვედრას მეც დავესწარი და, უნდა ითქვას რომ, ძალიან უფერულად ჩაიარა იმ ცერემონიამ. მართალია, პიონერხელმძღვანელმა ვრცელი მოხსენება გააკეთა და, რაც გმირის შესახებ გაზეთებიდან ამოეკითხა, ყველაფერი უამბო ბავშვებს. პიონერებმაც ილაპარაკეს. ბოლოს გმირიც გამოვიდა საპასუხო სიტყვით და გულთბილი შეხვედრისათვის მადლობა გადაუხადა პატარებს. მაგრამ ყველაფერი ეს რატომღაც ბუნებრივად არ გამოდიოდა. თითქოს ძალიან ნაცნობი პიესიდან წინდაწინ დაზეპირებულ როლებს იმეორებენო, ისეთი შთაბეჭდილება დარჩა.

ეს არაბუნებრიობა თვით გმირმაც იგრძნო და უხერხულობის გასაფანტავად პიონერებს შეჰპირდა, შემდეგში როცა შევხვდებით სადმე, უფრო დაწვრილებით გავეცნოთ ერთმანეთსო. და აი, ერთხელ, როცა სეირნობის დროს მე და გიორგი (ასე ერქვა გმირს) ტყეში შევხვდით იმ პიონერთა რაზმს, დაპირება გაახსენეს გმირს. გიორგი ჯერ დიდი ხნის მეგობარივით მიესალმა მზისაგან გარუჯულ პატარებს, ყველას ხელი ჩამოართვა და შემდეგ, როცა ბავშვები მიწიდან ამოჩრილ ხის ფესვებზე ჩამოსხდნენ, უამბო თავისი არც თუ სახარბიელო ბავშვობის შესახებ.

— მე, ბავშვებო, ცამდე ავყავარ ხალხს. მაქებენ, მადიდებენ. — დაიწყო გიორგიმ. — უნდა გამოვტყდე და, ზოგ შემთხვევაში კიდეც აზვიადებენ ჩემს ნამოქმედარს. ქება, რა თქმა უნდა, ცუდი როდია. ეს თითქოს უნდა მსიამოვნებდეს კიდეც, რადგან ლანძღვა-გინებას ისევ ქება-დიდება სჯობია, მაგრამ გადაჭარბებული არც ის ვარგა.

თუ ატყობდით, თქვენთან პირველი შეხვედრის დროს ერთგვარ უხერხულობას განვიცდიდი. რა ვუყოთ, რომ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მაქვს. მართალია, ეს ძალიან საპატიო წოდებაა და კმაყოფილიც ვარ, რომ ასე დამაფასეს, მაგრამ ჩვენში რომ დარჩეს, რატომ უნდა გავუზვიადოთ ადამიანს თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულება? მეც მეტი ხომ არაფერი გამიკეთებია! მოვალე ვიყავი ჩემი სამშობლო დამეცვა შემოსეული მტრებისაგან და მეც ეს შევასრულე.

ეს ასე. ამ უბრალო ჭეშმარიტებაში თვითონვე დარწმუნდებით, როცა გაიზრდებით და ამაზე დროს ნულარ დავკარგავთ. მოდით, ახლა ერთმანეთს გავეცნოთ. თქვენი ყოფა-ცხოვრება ჩემთვის ძალიან ნაცნობია, ბევრჯერ გულწრფელად შემხარებია თქვენი ბედი. მინდა ზოგი რამ გიამბოთ ჩემი ბავშვობის შესახებაც.

ჩემთან შეხვედრის დროს თქვენმა ხელმძღვანელმა ყველაფერი გიამბოთ ჩემს შესახებ და, როგორც იტყვიან ხოლმე, მთელი ანკეტური მონაცემები გაგაცნოთ. მაგრამ ის საქმიანობა, რომელიც მე არც ერთ ანკეტაში არ ჩამიწერია და არც არავინ იცის, ჩემი ცხოვრების ყველაზე საინტერესო ხანად მიმაჩნია. აი ამის შესახებ მინდა გიამბოთ.

მართალია, მაშინ უშუალოდ საქვეყნო საქმეები არ ჩამიდენია და იგი მხოლოდ შინაური, ოჯახური ამბებით განისაზღვრებოდა. მაგრამ, ვფიქრობ, თუ რამ კარგი თვისება მაქვს ამჟამად, ეს მაშინ შევიძინე იმ გაჭირვებასთან ბრძოლაში, რომელსაც ჩვენი ოჯახი განიცდიდა.

ყმაწვილებო! ერთსა გთხოვთ. ისე კი არ გამიგოთ, თითქოს ვამტკიცებდე, გაჭირვებული ცხოვრება აუცილებელი საწინდარი იყოს შემდეგში კეთილი თვისებების გამოსამუშავებლად. ეს სისულელე იქნებოდა. მაგრამ ერთი რამ უნდა გახსოვდეთ: რანაირი ნიჭიერებიც არ უნდა იყოთ, თუ სისტემატური შრომა არ გიყვართ, ვერაფრის გაკეთებას ვერ შესძლებთ.

ხუთი შვილი ვყავდით ჩემს მშობლებს. მამაჩემი მეისრედ მუშაობდა რკინიგზის ერთ პატარა სადგურზე. მოგეხსენებათ, მეისრის ხელფასით ხუთი შვილის შენახვა არც ისე ადვილია, მაგრამ მამაჩემი რკინის კაცი იყო. დღედაღამე არ ეძინა, თავს არ ზოგავდა და პატარებს ლუკმაპურს არ გვაკლებდა. ხოლო მძიმე შრომამ, ცხოვრების დუხჭირმა პირობებმა და რევმატიზმებმა დედაჩემი ისე მოსტეხეს და დააძაბუნეს, რომ ღრმად მოხუცებულს დაამსგავსეს. მაგრამ ჩვენთვის, მისი შვილებისათვის, იგი ისევ საყვარელი იყო. იმაზე ლამაზი ჩვენთვის ქვეყანაზე არავინ მოიპოვებოდა და ვერაფერ ცვლილებას ვერ ვამჩნევდით.

ექიმები გვირჩევდნენ — წყალტუბოს აბაზანები არგებსო. ერთხელ მამაჩემს როგორღაც სამსახურში საგზურს დაჰპირებოდნენ და, ეს ამბავი რომ მოიტანა სახლში, ჩვენს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. ერთმანეთს ვეხვევოდით, ვკოცნიდით. ხან დედას ვუვლიდით გარშემო და ვცდილობდით მის თვალებში ამოგვეკითხნა, მდგომარეობა ნამდვილად სასიხარულო იყო თუ არა. მაგრამ დედის თვალებში ჩვენი იმედის გაცრუებას ვხედავდით მხოლოდ.

— რატომ არ გიხარია დედიკო? მამა ხომ ამბობს წყალტუბოში რომ იბანაოს დედამ, სრულებით გამოჯანმრთელდებაო, — ეუბნებოდა ჩემი მომდევნო და — 12 წლის ნუცა. ამ დროს დანარჩენი ბავშვებიც სახეში შევცქეროდით და პასუხს ველოდით.

— ეჰ, შვილო, — დაიწყო დედაჩემმა, — მაგრამ ტო საგზური ხომ არ არის საქმე, სხვა აღარაფერი მინდა იქ წასასვლელად? ასე ტიტველი მათხოვარსავით სად წავიდე იმ უცხო ხალხში? კაბას აქ ერთმანეთზე რომ ვაკონცებ, იქაც კი არ შეიძლება.

— კაი, შე კაი ქალო! ნუ იცი ხოლმე გულის გატეხა. სექტემბრამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, ერთ კაბას როგორც იქნება მოგიხერხებ, ბავშვებს რაზე ტკენ გულს! — გამოელაპარაკა იქვე მდგომი მამაჩემი, რომელიც თითქოს არ უსმენდა ჩვენს ბაასს.

მე და ნუცას, რა თქმა უნდა, არა გვჯერდა მამაჩემის დაპირება, რადგან ძალიან კარგად ვიცოდით მისი ავლადიდება, არსაიდან სახსარი არა ჰქონდა და მარტო გულკეთილობა ხომ ვერ უშველიდა საქმეს. მხოლოდ ჩვენს მომდევნო დაძმას სიხარულით სახე აენთოთ, მამას შემოეხვივნენ, პატარა ხელებს ყელზე იკიდებდნენ და თან ეხვეწებოდნენ:

— შენ გენაცვალე მამიკო! უყიდე რა დედას კაბა!

თითქოს მათი ხვეწნა სჭირდებოდა მამას! ბავშვებს თავზე ხელი გადაუსვა, დააიმედა, რომ დედას კაბასაც უყიდდა, ფეხსაცმელებსაც და სახარჯო ფულსაც უშოვნიდა, რათა კარგად დაესვენა და გამოჯანმრთელებულიყო, მაგრამ მე და ნუცას არც ახლა გვჯეროდა მამის დაპირება.

მაშინ მე თოთხმეტი წელი მისრულდებოდა. უკვე ჭკუაში ვიყავი ჩავარდნილი და მძიმე ფიქრებმა შემიპყრეს: ვფიქრობდი რაიმე სამუალება გამომენახა, რომ მამას დავხმარებოდი, მაგრამ ვერაფერი ვერ მომეგონებინა. გასაყიდიც არაფერი გვქონდა. გულისტკივილით შევადარე ჩვენი მდგომარეობა ჩვენი მეზობლის მდგომარეობას, ვის ბაღებშიც ჭერმები და ალუბლები დახუნძლულიყვნენ. ვიფიქრე, ეს რომ ახლა ჩემი იყოს, ერთ მარცვალს არც მე შევჭამ და არც ჩემს და-ძმას შევაჭმევ, სუყველას გავყიდი მატარებლის მგზავრებზე და დედას ფულს მოვუგროვებ-მეთქი. მაგრამ ვინ მომართმევდა?

მამაჩემი მეისრედ მუშაობდა.

ამ ფიქრით რომ დავიღალე, მაშინ უფრო შემეცოდნენ ჩემი მშობლები, ქვეყანაზე არაფერი არ გაეჩნდათ და შვილებს დღიური ნაშოვნი ლუკმით შოშიას ბარტყებსავით გვკვებავდნენ.

ეხ, ვინმეს მაინც სჭირდებოდეს რამეზე მოხმარება, ძალ-ღონეს არ დავზოგავ-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის და იმ ღამეს ძილი არ მომკარებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოთხმეტი წელი მისრულდებოდა, უკვე ჭკუაში ვიყავი ჩავარდნილი და მძიმე ფიქრებმა შემიპყრეს.

წარმოიდგინეთ, ბავშვებო, სკოლაში ყველა საგანს ხუთზე ვსწავლობდი, ყველაზე ღონიერიც ვიყავი — ჭიდაობაში, რომელსაც ხელს მოვკიდებდი, ფეხზე არავის ვაყენებდი. მუშაობაც კარგი ვიცოდი, მაგრამ სამუშაო არაფერი მქონდა.

საზაფხულო არდადეგები ერთი კვირის დაწყებული გვქონდა და მამაჩემის მიერ რკინიგზის ლიანდაგის გასწვრივ გრძლად მითესილი სიმინდის პატარა ნაკვეთები, საქმე რომ არაფერი მქონდა, ორჯერ-სამჯერ გავთოხნე, მაგრამ რა გამოვიდა, ეს დედას რას უშველიდა? ისევ სხვა რამე უნდა მომეფიქრებინა, რომელიც მაშინვე მომცემდა ფულს.

ბოლოს ერთი გადაწყვეტილება მივიღე: ვიშოვე ერთი თორმეტლიტრიანი თიხის დოქი, გავავსე წყლით, დავიჭირე ალუმინის ტოლჩა და გავედი ჩვენი სადგურის ბაქანზე, სადაც აუარებელი მატარებლები დგებოდნენ. პირველ მატარებელზევე დავცალე ერთი დოქი წყალი და სამი მანეთის და ორი აბაზის ხურდა ფული დავითვალე. „ბიჭოს! ეს კარგია-მეთქი!“ და დავტრიალდი. იმ დღეს რამდენმა მატარებელმაც ჩაიარა, იმდენჯერ დავცალე ჩემი დოქი. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო: ჩვეულებრივი, ბუნებრივი წყარო და ჩემი პატიოსანი შრომა ფულის შოვნის წყაროდ გავიხადე, რომელიც ასე მესაჭიროებოდა ავადმყოფი დედისათვის. რამდენსაც მოვისურვებდი, რამდენსაც მოვერეოდი, იმდენს მომცემდა დედა ბუნება და ჩემს თავს რაღას დავზოგავდი. საღამომდე გავკიოდი ბაქანზე: „ცივი წყალი, ცივი, ცივი წყალი-მეთქი“.

უკანასკნელი მატარებელი რომ გავაცილე და დოქიც დავცალე, საშინელი შიმშილი და დაღლილობა ვიგრძენ. ჯერ თითქოს მეუხერხულა, წყალში აღებული ფულით ცხელ-ცხელი ღვეზელის საყიდლად რომ შევედი ბუფეტში, მაგრამ იმითი გავამართლე ჩემი მოქმედება, რომ ის ფული ნამდვილი ჩემი შრომით იყო აღებული, არავის ნაჩუქარი არ იყო და ვერავინ ვერ დამაყვედრიდა.

კარგა გვარიანად დავნაყრდი, დანახარჯები გადავიხადე და, როცა დაჭმუჭნული მანეთიანები და ხურდა ფული დავითვალე, ოცდაშვიდი მანეთისა და სამი შაურის პატრონი აღმოვჩნდი. ეს ჩემთვის მოულოდნელი სიმდიდრე იყო. „შემდეგაც თუ ასე წავიდა საქმე!“.. ვფიქრობდი და ჩემს თავსაც აღარ ვუმხელდი იმ სიხარულს, რაც იმ ფულით შემეძლო შემეტანა ჩვენს ხელმოკლე ოჯახში. უკვე აღარ შევნატროდი მეზობლის ბიჭებს, ვისაც ჭერმები და ალუბლები ედგათ: — დიდი რამეა იმათი ჭიანი ჭერმები. ისინი წელიწადში ერთხელ მოისხამენ და გათავდება, ხოლო მე თუ არ ვიზარმაცებ, არც წყალი გამოილევა და არც მწყურვალი ხალხი დაილევა მატარებელზე-მეთქი.

ასე ვამხნევებდი ჩემს თავს და შემდეგ დღეებში უფრო გულმოდგინედ შევუდექი ჩემს საქმეს. პირველი დღის შემოსავალი გავიხადე ნიხრად და, როცა იმაზე ნაკლებს მოვაგროვებდი, ჩემს თავს ვსაყვედურობდი — ალბათ, ვიზარმაცე-მეთქი. მეორე, მესამე დღეს კი უსათუოდ რამდენიმე გროშით უნდა გადამეჭარბებინა და დამემშვიდებინა გული, თორემ ვერ ვისვენებდი.

ისიც უნდა აღვნიშნო: პირველ ხანებში ძალიან ვბრაზობდი, როცა ზოგიერთი სალახანა წყალს დალევდა და ფულს კი აღარ მომცემდა. მაგრამ შემდეგ იმ ამბავსაც შევეჩვიე, რომ კარგ ადამიანებში სალახანებიც გამოერევიან ხოლმე. ბოლოს იმათთან მიდგომაც ვისწავლე, ჩემებურად ვარცხვენდი:

— გეთქვა, შე კაი კაცო, ფული თუ არ გქონდა, ისე ვერ დაგალევინებდი? წყალია, სხვა ხომ არაფერი, გინდა კიდევ დალიე მეთქი. — და სავსე ტოლჩას გავუწვდიდი ხოლმე.

ამ სიტყვებით დარცხვენილი სალახანა უკანასკ-

ნელ სინდისს მოიკრეფდა და შრომას ამინაზღაურებდა ხოლმე, მაგრამ, სამწუხაროდ, იყო შემთხვევა, რომ ზოგს ის მცირედი სინდისის ნატამალიც კი არ აღმოაჩნდებოდა, მეორე ტოლჩასაც დალევდა, ერთს წამითაქებდა კეფაში და არაფერსაც არ მაძლევდა.

ერთხელ ერთმა ბრიყვმა დოქიც გამიტეხა...

ჩემდა სამარცხვინოდ ეს ჯავრიც შევჭამე და მოვითმინე. მოვითმინე იმიტომ, რომ სრულებით მიზნად არ მქონდა ვინმესთან მეჩხუბნა. მხოლოდ ერთი აზრით ვიყავ შეპყრობილი: როგორმე ავადმყოფ დედისათვის სამკურნალოდ წასასვლელი ფული მომეგროვებინა და ამისათვის ყველაფერს ვიტანდი და ვითმენდი კიდეც.

სევრი უსიამოვნება გადამხდა შემდეგშიც. მხოლოდ ერთი შემთხვევა განსაკუთრებით დამახსოვდა: ჩემი საქმიანობა რომ დიდი სასახელო არ იყო მოზარდისათვის, ამას მე თვითონვე ვგრძნობდი და ვთაკილობდი კიდეც, როდესაც ნაცნობები მხვდებოდნენ, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ვინც მე მიცნობდა, მან ისიც კარგად იცოდა, თუ რა ხელმოკლედ ვცხოვრობდით და ამისათვის არავის დავუძრახივარ. პირიქით, ზოგიერთები კიდეც მაქებდნენ.

— აი, ბარაქალა ბიჭიკო! აგრე უნდა, მამას უნდა მიეხმარო, ორიოდე გროშიც რომ შეიტანო სახლში, ისიც შეღავათია.

ასეთი სიტყვების შემდეგ წყლის გაყიდვა იმდენად სათაკილოდ აღარ ძიძაჩნდა.

ნაწილნი კიდევ სხვაფრივ მარიგებდნენ ჭკუას:

— შვილო! სხვა რამე საქმისათვის მოგეკიდა ხელი, ან დალაქობა გესწავლა, ან დურგლობა, ან ქალატოზობაო.

ამის მთქმელნიც თავისებურად მართლები იყვნენ, თუმცა სამუდამოდ წყლის გამყიდველად დარჩენას არც მე ვაპირებდი. ერთი სიტყვით ასეთ დამრიგებლებს ჩემზე მაინცდამაინც ცუდად არ უმოქმედნიათ. ვატყობდი, რომ ისინი ჩემი კეთილისმდომლები იყვნენ.

საღამომდე გავიოდი ბაქანზე.

მაგრამ ერთხელ, ბორჯომის მატარებელზე, ბაკურიანში ექსკურსიაზე მიმავალ ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა ჯგუფში ჩემი ნაცნობი ბიჭი შემხვდა. იგი ჩვენს სკოლაში სწავლობდა და ორი კლასით ჩემზე წინ იყო. ნაცნობი კი იყო იგი, მაგრამ ერთმანეთის მეგობრები არ ვყოფილვართ. პირიქით, იგი ჩემით უკმაყოფილო იყო ერთი ამბის გამო:

ერთხელ, რაიონის სკოლების მოწაფეთა შეჯიბრებაზე სირბილში მე და ის გავედით საფინალო შეხვედრაში. ვინც უარეს შედეგებს აჩვენებდა, იგი რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილე გუნდიდან ვარდებოდა.

სტარტის მიცემისთანავე ჩემი მოწინააღმდეგე დაწინაურდა და დარწმუნებული იყო იოლ გამარჯვებაში, მაგრამ სწორედ ფინიშთან გადავუსწარი და პირველობა ჩამოვართვი. ეს იყო მიზეზი რომ ვეღარ მიყურებდა კარგი თვალით.

ერთხანს ცემაც კი მომინდომა, უხეშად მომკიდა ხელი, უნდოდა წავექცევ, ვითომ ხუმრობით, მაგრამ რაკი ისე იოლად ვერ მომღუნა, თავის განზრახვაზე ხელი აიღო. ოღონდ მას შემდეგ სხვაფრივ მისწორებდა ანგარიშს. რითაც კი მოახერხებდა, ცდილობდა ჩემს დამცირებას. ხან ჩემს ლანჩაავარდნილ ფეხსაცმელს აიგდებდა სასაცილოდ და ხან დაკერებულ ხალათს.

თვითონ, რა თქმა უნდა, ყოველთვის ჩემზე უკეთესად ჩაცმული დადიოდა. ეს არც გასაკვირველი იყო. მის მამას პლეხანოვის გამზირზე საშაქარლამო ჰქონდა გახსნილი და ერთადერთი ვაჟიშვილის კარგად შენახვა რატომ გაუჭირდებოდა?

აი ეს, მამის ქონებით განებივრებული ყმაწვილი შემხვდა ბორჯომის მატარებელზე თავისსავე მსგავს ბედნიერ ქალ-ვაჟთან ერთად, როცა მე სავსე დოქით შევაღე ერთი ვაგონის კარი და ჩემებურად შევძახე: — „ცივი წყალი-მეთქი“.

— ვა, ბიჭო, გიგლო! შენა ხარ? ეს კი სწორედ საშენო საქმე დაგიწყია. მოიტა ეგ შენი საქონელი, თუ მართლა ცივია, გაგისაღებთ: — და მერე ამხანაგებს მიმართა: — ჩვენს სკოლაში სწავლობს, ერთი საწყალი ბიჭია, მაგის მამა მეისრედ მუშაობსო.

მე სიბრაზისაგან ავენთე. ეს რომ სხვას ეთქვა, შეიძლებოდა ყურადღება არც კი მიმექცია, რადგან მართლაც მეისრედ მუშაობდა მამაჩემი. გარდა ამისა, ჩემს მდგომარეობაში მყოფი ბავშვიც უსათუოდ შესაბრალისია, მაგრამ „მტრის“ შებრალება გულზე ტყვიასავით მომხვდა და ამაზე მკვახედ ვუპასუხე:

— მამაჩემი მეისრეა, მაგრამ სპეკულანტზე უფრო პატიოსანი და ხალხისათვის საჭირო კაცია!..

ეტყობოდა იგი ამას არ მოელოდა ჩემგან. სიბრაზით სახეანთებულმა ირონიით შემომხედა და შემდეგ ხმამაღლა მომმართა:

— ერთი ამ გლახაკს უყურეთ და! ამაზე იტყვიან სწორედ „გლახა ამპარტავანიო“.

— გლახაც ხარ და ერთიც მეტი. გლახები სახლში გეყოლება. მე ხალხს ვასმევ წყალს, თორემ შენ წყურვილითაც რომ დაიხრჩო, ერთ წვეთსაც არ მოგაწვდი-მეთქი!

ამან სულ გადარია. იგი წამოდგა გაბრაზებული და კბილების კრაჭუნით წამოვიდა ჩემსკენ.

მე ვიცოდი, რომ საშაქარლამოში გასუქებული ვაჟბატონი ჩემს საალერსოდ არ მოდიოდა. დოქი

ვაგონის კედელთან დავდგი და მოვემზადე დასახვედრად. მართალია იგი წლოვანებით ჩემზე უფროსი იყო, მაგრამ ერთხელ ჭიდაობაში უკვე ძოსინჯული მყავდა და აღარ შევშინებულვარ.

ის იყო მომიახლოვდა და უნდა დამტაკებოდა, რომ მისი ამხანაგები გონს მოვიდნენ და უკან გაითრიეს.

— რა გინდა ძმაო, რას ერჩი ამ ბიჭს? ცუდი ხომ არაფერი უთქვამს, წყალი დაგვალევინეო — ეს გითხრა, მეტი ხომ არაფერი? — ამ სიტყვებით მომმართა ერთმა მისმა ამხანაგმა.

— მაგან თვითონ იცის რაც მითხრა, თორემ მე წყალსა ვყიდი, სხვას კი არაფერს. რა მაგის საქმეა მამაჩემი სადაც მუშაობს! ჩემი დოქი ისევ ავიღე და, რა უნდა მექნა, ჩავედი ვაგონიდან ძირს ისევ სავსე დოქით და მგზავრებისათვის, რომლებიც წყალს მთხოვდნენ, ყურადღება აღარ მიმიქცევია. უკან არ მიმიხედნია, გადავჭერი სადგურის ბაქანი, გავედი ბაღის გვერდით, ალუბლების ჩრდილში დავჯექი, დოქიდან წყალი ნება-ნება დავაქციე და დავფიქრდი იმ უზრუნველ ახალგაზრდებზე, რომელთაც ბაკურიანისაკენ მიაქროლებდა ბორჯომის მატარებელი. ერთ ხანს ჩემი თავი გულწრფელად შემებრალა. მაგრამ როდესაც დავმშვიდდი მივხვდი, რომ მარტო ეს სძრალული ვერაფერი წამალი იყო ჩემი მაშინდელი მდგომარეობისათვის და ავადმყოფი დედისათვის. უფრო გამხნევებული წამოვხტი, წყაროსაკენ წავედი, რომ ისევ ცივი წყალით გამევსო დოქი და შემდეგ მატარებელს დავხვედროდი.

ჩემი ნამდვილი საქმიანობის შესახებ სახლში არაფერი იცოდნენ გარდა იმისა, რომ სადგურზე დავდიოდი და ამხანაგებში „ვლანზღადარობდი“. ისიც გაგებული ჰქონდათ, რომ ზოგჯერ წყალსაც ვყიდდი და თითოოროლა გროშსაც ვაწვდიდი ხოლმე სახლში, როცა ძალიან გაუჭირდებოდათ. მაგრამ რას წარმოიდგენდნენ, რომ ყოველდღიურად ოცდაშვიდი მანეთი მქონდა შემოსავალი და ხან მეტიც.

ერთხელ, მაგალითად, სამხედრო სასწავლებლის კურსანტებით გაჭედილი ეშელონი ჩამოდგა ჩვენს ბაქანზე და არ ვიცი რის გამო, ორი საათის განმავლობაში გააჩარეს იგი. ცივი წყალი, რა თქმა უნდა, მათაც შევთავაზე. მზისაგან გარუჯული ბიჭები წამდაუწუმ მიცლიდნენ დოქს და კიდევ მგზავნიდნენ წყლის მოსატანად. ისინი არამც თუ არ მაკლებდნენ ფულს, პირიქით, მეტსაც მაძლევდნენ. მაგრამ ეს კიდევ არაფერი.

როგორღაც ერთმა კურსანტმა მკითხა, თუ ამოდენა ბიჭი რათა ვცდებოდი წყლის გაყიდვაზე და რატომ უფრო პერსპექტივიან საქმეს არ მოვკიდე ხელი. მე მას გულახდილად, დაწვრილებით ვუამბე ჩემი მდგომარეობა და როდესაც გაიგო, რომ ყველაფერს ამას ავადმყოფი დედისათვის ჩავდიოდი, გული აუჩუყდა. ეს ამბავი თავის ამხანაგებს გადასცა და მოუწოდა: — დავეხმაროთ პატარა ვაჟკაცს და თავისი კეთილგანზრახვა შევასრულებინოთო.

მან ერთი ტოლჩა წყალი დალია და ვაგონების ნაცვლად მანეთიანი მომცა. ეს რომ დარბაზეს ბისმა ამხანაგებმა (ეტყობოდათ იმ კურსანტს ძალიან პატივსა სცემდნენ, რომ მის მოწოდებას გამოეხმაურნენ), წამოვიდა მანეთიანები ჩემსკენ. ზოგი სამმანეთიანსაც მაძლევდა. იმ საღამოს ფული რომ დავითვალე მთელი დღის შემოსავალმა 83 მანეთი და 45 კაპიკი შეადგინა. ეს, რა თქმა უნდა, ყველაზე ბედნიერი დღე იყო ჩემი ეგრეთწოდებული საქმიანობის პერიოდში.

ერთი სიტყვით, აგვისტოს შუა რიცხვებში ჩემმა მთელმა თანხამ 1000 მანეთს გადააჭარბა. ახლა უკვე საჭირო იყო გამემხილა ჩვენებისათვის. მეც მომწყინდა ერთი და იგივეს კეთება. გარდა ამისა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არდადეგები ისე თავდებოდა, რომ ერთი წიგნის წაკითხვაც ვეღარ მოვასწარი.

ერთ დღეს, როდესაც ყველანი სახლში ვიყავით, ჩვეულებრივ, დედაჩემის წყალტუბოში წასვლის შესახებ ჩამოვარდა საუბარი, რადგან სულ თითზე ჩამოსათვლელი დღეები-ღა რჩებოდა გამგზავრებამდე.

რა თქმა უნდა, მამამ ვერ მოახერხა ფულის შოვნა დედის გასამგზავრებლად, ამიტომ დედა უფრო ნერვიულობდა და ისევ უარზე იდგა:

— არ წავალ, მოვკვდები და ის იქნება...

შეიძლება იმ პიროობებში მართლა აღარც კი ენანებოდა თავი დედაჩემს. შეიძლება მისთვის მართლაც ერთი იყო, მოკვდებოდა თუ დარჩებოდა, მაგრამ ჩემი პატარა და-ძმა ისეთი სასოწარკვეთილებით შეჰყურებდა დედას, რომ ცრემლი მომერია. თითქოს ემუდარებოდნენ, — დედა, გენაცვალე, ჩვენთვის მაინც იცოცხლე, ნუ დაგვობლებო.

საწყალმა მამაჩემმა ისევ თავისი ჩვეულებრივი ხერხი იხმარა, რომელიც აღარავისა სჯეროდა. ჯერ თქვა, მოვახერხებ რამესო, მაგრამ რაკი ამით ეფექტი ვერ მოახდინა და დედა უფრო აღელდა ამაზე, ბოლოს მიაძახა:

— მოიცა დედაკაცო, მოიცა. ერთი ოცდაათ თუმანს საცა იქნება ვისესხებ და მერე წვრილწვრილად გადავიხდიო.

ამ სიტყვებზე მამაჩემი უფრო მეტად შემეცოდა. ისეთი დაბეჩავებული გამომეტყველება ჰქონდა, რომ ის ლომივით ღონიერი კაცი, ავადმყოფ დედაჩემზე უფრო სუსტად მომეჩვენა.

აქ კი ვეღარ მოვითმინე... ვეღარ შევინახე საიდუმლოდ ჩემი „სიმდიდრე“ და სახეარეული წამოვხტი.

— არც ფულის სესხება გინდათ ვინმესგან და არც მისი გადახდა. მე მაქვს ფული იმდენი, რომ დედას ყველაფერში ეყოფა-მეთქი და ამ სიტყვების შემდეგ გამოვიტანე ჩემი „სიმდიდრე“. გამოვიტანე და გადავშალე.

პირველად მშობლები სახტად დარჩნენ. ამდენი ფული რომ დაინახეს და გახარების ნაცვლად, როგორც მოველოდი, უფრო შეწუხდნენ. ალბათ, ეგონათ, რომ მათი უფროსი შვილი პატიოსან გზას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასცდა და ფული სადღაც მოიპარა. მაგრამ შემდგომ, როცა ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე, თანდათან ორივეს სახე გაეხადრა და სიხარულის ცრემლები გადმოსცვივდათ.

დედ-მამა სათითაოდ მიკრავდა გულში, ახლა პატარები შემომეხვივნენ გარს და ზედ მაცოცდებოდნენ საკოცნელად. ერთი სიტყვით, მე მეგონა პირველად გმირი მაშინ უფრო ვიყავ ჩვენი ოჯახისათვის და გამოვტყდები, იმდენი კმაყოფილება ჩემი მოქმედების შედეგად მაშინაც არ მიგრძვნია, როდესაც ნამდვილი საბჭოთა კავშირის გმირობა მომანიჭეს.

აი, ასეთი ბავშვობა მქონდა, ჩემო პატარა მეგობრებო. თქვენ კი, აბა რა იცით, რასა ჰქვია გაჭირვება. იზრდებით ბედნიერად და მთელი ქვეყანა თქვენთვის ზრუნავს, მგონი თავი შეგაწყინეთ, პატარებო, არა? — მიმართა გიორგიმ პიონერებს.

— არა, რასა ბრძანებთ! კიდევ გვიამბეთ რამე, ძია გიორგი.

— წაბრძანდა თუ არა დედათქვენი წყალტუბოში? — შეეკითხა ერთი ცამეტ-თოთხმეტი წლის თმახუჭუჭა ბიჭუნა.

— რა თქმა უნდა, წავიდა და მართლაც ისე გამოჯანმრთელდა, რომ დღესაც კლდესავით არის. მომავალ კვირას მესტუმრება იგი აქ და თუ ჩვენს სანატორიუმში შემოივლით, გაგაცნობთ.

მართლაც შემდეგ კვირას თბილისიდან ყავისფერი „პობედით“ ამოგრიალდნენ გიორგის უკვე მოჩიტული ქალ-ვაჟი — მანანა და დათო, რომელთაც თმაშეევერცხლილი, მაგრამ ჯერ ისევ ჯანღონით სავსე დიდედა თამარი, შავი კრუხივით ამოჰყვა მფარველად. რა თქმა უნდა, პიონერთა რაზმი, რომელიც გაფრთხილებული იყო გიორგის მიერ, იქვე დახვდა და გაიცნო ის მრავალჭირნახული ადამიანი.

როდესაც გაცნობის შემდეგ გიორგის დედას წყალტუბოს ამბავი, მისი ავადმყოფობა გავახსენეთ და ვკითხეთ რატომ ნატრობდა სიკვდილს, ერთი გაიღიმა, ხელი ჩაიქნია და გვითხრა:

— თვალი იმ წარსულსაც დაუდგება. სიცოცხლე ახლა მინდა, რომ ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს ვუყურო. ნეტავი როგორც მე არა მიჭირს რა, ისე ის საწყალი ჩემი კაციც მოსწრებოდა ამ ჩვენს სიხარულს, თორემ მე რაღა ეშმაკი მომკლავსო.

ბავშვთა მეგობრებს

ეკატერინე გაბაშვილს

ჩვენ ვკითხულობდით „მაგდანას ლურჯას“
ბავშვური თრთოლვით და მღელვარებით,
ჩვენ ვკითხულობდით ხმამაღლა, ურჩად
და ცრემლიანი გვქონდა თვალები.

ერთი ამბობდა: — ჩანს, წაართმევენ...
იმეორებდა მეორეც ასე,
უცებ დაეცა ფურცელს ნათელი:
ამაყი ქვრივი გამოჩნდა გზაზე!

ერთბაშად დაჰკრეს ბიჭებმა ტაში,
დაჰგმეს წართმევის მსურველთა ზრახვა...
იმ განცდისათვის, რაც ვიგრძენ მაშინ,
მადლობას გიხდი, ძვირფასო, ახლა!

ნინო ნაკაშიძეს

პატარა ვიყავ, სოფლელი ბიჭი,
დარდით და სევდით დაუთალხავი,
და მიხაროდა, როცა მე წიგნში
საყვარელ ნინოს სახელს ვნახავდი.

წარვიდნენ წლები, როდესაც ახლა
ლამის ძეც თეთრი გაბიჩნდეს თმაში,
ქუჩაზე ნინოს ჭაღარას ვნახავ
და... ჩემი თავი მგონია ბავშვი!

ხუგა ბერულავა

ნორჩ მოგზაურთა რესპუბლიკური შეკრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, ის მთა უნდა დავიპყროთ, — უთხრა ალექსანდრა ჯაფარიძემ ნორჩ მოგზაურებს და მოგზაურთა „ქალაქის“ მოსაზღვრე მაღალ მთაზე მიუთითა.

საზაფხულო არდადეგების მიწურულს — 15 აგვისტოდან 19 აგვისტომდე — ხუთი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ბორჯომის პარკში ნორჩ მოგზაურთა პირველი რესპუბლიკური შეკრება, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ მოგზაურებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ შეკრებაზე სტუმრად წვეული ლატვიელი, აზერბაიჯანელი და სომეხი პიონერები.

14 და 15 აგვისტოს, ორი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ ჩამოდიოდნენ მოგზაურები ბორჯომის სადგურზე; ჩამოდიოდნენ, აგრეთვე, სტუმრები მოძმე რესპუბლიკებიდან, რომელთაც დოლითა და საყვირით ხვდებოდნენ უკვე ჩამოსულნი და დიდი პატივით მიაცილებდნენ ბორჯომის ულამაზეს პარკში, სადაც შეკრების გახსნის დღეს 40 კარავი იყო გაშლილი მდინარის პირას, ნაძვნარითა და ფიჭვნარით დაბურულ ხეობაში.

შეკრება გაიხსნა 15 აგვისტოს, საღამოხანად. პიონერულმა საყვირმა ხაზზე მოუხმო ნორჩ მოგზაურებს. აფრიალდა შეკრების ალამი. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ნორჩ მოგზაურთა რაზმების წარმომადგენლები რიგრიგად წარსდგნენ შეკრების მორიგის წინაშე და უპატაკეს თავიანთი საქმეების შესახებ. მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები მიესალმნენ ქართველ მოგზაურებს და შეკრებას წარმატება უსურვეს.

შეკრებას მიესალმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნათელა ვასაძე.

— ჩვენს ქვეყანაში, — თქვა მან, — ნორჩ თაობას ყოველგვარი პირობა აქვს შექმნილი წარმატებითი სწავლისა და კულტურული დასვენებისათვის. ჩვენი ბავშვები დაუცხრომლად სწავლობენ მშობლიურ ქვეყანას — აწყობენ ექსკურსიებს და შორეულ მოგზაურობებს. შარაგანები და საურმე გზები, ფართო მოსეები და წვრილი ბილიკები, რაც ამ ზაფხულს ჩვენმა მოგზაურებმა გაიარეს, ერთმანეთს რომ წავაბათ, მივიღებთ უზარმაზარ ციფრს კილომეტრებისას. ხოლო ეს მარშრუტები რუქებზე რომ გადავიტანოთ, მაშინ რუქები დაიქსაქსება აურაცხელი, ერთმანეთის გადამკვეთი ხაზით.

სიტყვის დასასრულს ნათელა ვასაძემ მოუწოდა ნორჩ მოგზაურებს კიდევ უფრო გულდასმით და ყურადღებით, კიდევ უფრო ენერგიულად და მონდომებით შეისწავლონ მშობლიური ქვეყანა.

იმავე საღამოს მოგზაურთა „ქალაქის“ შესასვლელში გაიხსნა გამოფენა, სადაც დიდი რაოდენობით იყო წარმოდგენილი: საველე გაზეთები, ფოტოალბომები, ჰერბარიუმები, მაკეტები, მინერალების ნიმუშები, მრავალგვარი ექსპონატები. გამოფენას ინტერესით გაეცნენ ნორჩი მოგზაურები და სტუმრები.

შეკრების მეორე დღეს, მიუხედავად წვიმიანი და ნისლიანი ამინდისა, მოგზაურთა „ქალაქში“ არ დამცხრალა ცეკვა და სიმღერა, შეჯიბრებანი სპორტის სხვადასხვა სახეობაში: ფრენბურთში, კალათბურთში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში. მოგზაურები ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ კარვებში და უამბობდნენ ერთმანეთს თავიანთი მარშრუტების, თავიანთი მოგზაურობების შესახებ, შეკრებაზე არა საპატიო, არამედ საქმიან სტუმრებად იყვნენ ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში ბ. გურგენიძე, რომელმაც ერთდროული სეანსი ჩაატარა ნორჩ მოჭადრაკეებთან, და სპორტის დამსახურებული ოსტატი, ალპინისტი ქალი ალექსანდრა ჯაფარიძე, რომელმაც თავისი გამოცდილება გაუზიარა ნორჩ მოგზაურებს.

თავიანთი შეკრების მესამე დღეს ნორჩი მოგზაურები გორს ეწვივნენ და ინახულეს სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა დიდმა სტალინმა. აქ საზეიმო ვითარებაში ჩაიბარეს საქართველოს ნორჩ მოგზაურთა პირველი რესპუბლიკური შეკრებისადმი მიძღვნილი ესტაფეტის 13 დროშა, რომლებმაც ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა ქალაქი და სოფლები შემოიარეს.

ნაშუადღევს გორელმა პიონერებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს სტუმრებს.

18 აგვისტოს ნორჩ მოგზაურთა „ქალაქი“ სალაშქროდ აიშალა. კომპლექსურ ლაშქრობაში ბავშვებმა კარგი ლაშქრული მომზადება გამოავლინეს. ბევრმა მათგანმა „სსრკ ნორჩი ტურისტის“ ნიშანიც დაიმსახურა.

საქართველოს ნორჩ მოგზაურთა პირველი რესპუბლიკური შეკრება ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო მთელი ჩვენი რესპუბლიკის პიონერულ ცხოვრებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6904

კომპლექსური ლაშქრობა დაიწყო.

ნორჩი მოგზაურები სალაშქრო კერძს ამზადებენ.



დილა ნორჩ მოგზაურთა „ქალაქში“.

БИБЛИОТЕКА

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევ კასილი

ადრეული განთიადი*

ორი დღის შემდეგ კოლიამ თხოვა კირას, — ერთი საათით წუნარად დამჯდარიყო; პროფილში დახატა იგი ალბომის ფურცლის ოდენა ქაღალდზე და პორტრეტი უსახსოვრა. მთლიანი პორტრეტის დახატვას კოლია მაშინ ჯერ კიდევ ვერ ბედავდა. კირას ძალიან მოეწონა პორტრეტი, ოღონდ თხოვა აუცილებლად დაეხატა ხალი, რომლის დახატვაც კოლიამ საჭიროდ არ სცნო.

— ოდნავ მაინც მონიშნე, თორემ, როგორ გავარჩიო, ვისი სურათია — ჩემი თუ ნადიასი? — ეჭვიანად ეკედრებოდა იგი. — ჩვენ ხომ ცხოვრებაშიც გვრევენ ერთმანეთში.

— კარგი, — დათანხმდა ბოლოს კოლია და სუნთქვაშეკრულმა ფრთხილად შეახო ფანქარი იმ ადგილს, სადაც ხალი უნდა ყოფილიყო, — ოღონდ ძალიან გთხოვ, კირა, არავის არ აჩვენო...

— აბა რას ამბობ — უთხრა კირამ. — ხომ იცი...

ჯარისკაცი (ფანქარი)

* დასასრული. იხ. „პიონერი“ № 8.

შემდეგ კირა და დედამისი ერთი თვით წავიდნენ ყირიმში, — ევპატორიაში. შეთანხმდნენ, რომ კირა კოლიასა და კატიუშას ერთად მოსწერდა წერილებს, თორემ, ვინ იცის, ეგებ დაცინვაც დაეწყოთ.

მაგრამ კოლიას მოთმინება აღარ ეყო, არ დაელოდა წერილს და თვითონ პირველმა მისწერა:

კიროჩკა!

„...ეს წერილი თქვენი გამგზავრების მეორე დღესვე დავწერე. სულ მეშინოდა ყუთში ჩაგდების, — ვფიქრობდი, ჯერ გზაში იქნებიან-მეთქი. მომწერე, როგორ ცხოვრობთ. აქ სიცხეა. თითქმის ყოველდღე დავდივარ ზოოპარკში და იქ ვხატავ, თორემ ჩვენს მტვრიან ეზოში საშინელი მოწყენილობაა. ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. შინ ჯდომაც მოსაწყენია. ამიტომ ან მთელ დღეს წიგნით ხელში ბულვარში ვატარებ, ანდა ფანქრითა და ქაღალდით ზოოპარკში. უშენოდ მეტისმეტად მომწყინდა. იმდენად, რომ ხატვის შემდეგ, თავისუფალ დროს, ადგილს ვეღარ ვპოულობ. მე და კატია ყოველდღე ვამოწმებთ — ხომ არ არის წერილი შენგან. მე მათ უჩვეულო სიხარბით ველი. კიროჩკა, თუ შენთვის ძნელი არ იქნება, მოგვწერე მე და კატიას ხშირად. ჯერჯერობით ნახვამდის.

22/VI—45. კოლია.

პასუხი დიდხანს არ ჩანდა. ამაოდ ამოწმებდა დღეში სამჯერ კარზე ჩამოკიდებულ საფოსტო ყუთს, ანდა ყოველ ფაჩუნზე აგზავნიდა კატუშას დერეფანში — წერილი ხომ არ მოიტანესო.

კოლია ხშირად იყო ახლა ზოოპარკში, სადაც გულმოდგინედ იხატავდა მხეცებს. ამას წინათ, იგი სავსებით მოაჯადოვა სეროვის ნახატმა მხეცებმა, რომლებიც ტრეტიაკოვის გალერეაში ნახა.

ძნელი იყო მისი მოწყვეტა ამ სურათებისაგან, სადაც ორისამი, თითქოს დაუდევარი, მაგრამ სინამდვილეში უშეცდომოდ მიგნებული ხაზით გადმოცემული იყო მოძრაობა, და უცებ ჩნდებოდა მხეცის ხასიათი, მისი ჩვევა, მთელი მისი ნაკვთი. ახლა კოლია ცდილობდა ჩასწვდომოდა გადმოცემის საიდუმლოებას, რასაც ასე მიუწვდომლად გრძნობდა და გაგრძნობინებდა სეროვი, რომელმაც სავსებით მოხიბლა კოლია.

მალე მოსკოვის ზოოპარკის მნახველები და დარაჯები მიეჩვივნენ ჩასხმულ ქერათმიან ბიჭუნას, რომელიც, სადმე გზის პირას მოკალათებული, საათობით იხატავდა თავის ბლოკნოტში ვეფხს, ირემს, დიდი აქანდაზის მსგავს ნისკარტიან ვარხვს, ანდა ბეჰემოტს, რომელიც კოლიას ყოველთვის კონტრაბასის ვეება ფუტლიარს აგონებდა. აბა, რითი შეიძლებოდა გადმოგეცა, მაგალითად, ვეფხის ზოლიანი ტყავის კრიალა ატლასისებურობა, რომლის მიღმა იმალებოდა ფარული გაფთრებით აღსავსე მტკიცე, უდრეკი ძალა. როგორ გინდოდა ფანქრით დაგეჭირა დიდი, კატისებრი თვალების მოლუშული გამოხედვა, როდესაც იგი ირიბად უყურებდა მთელი დღე გალიასთან მდგომ უცნაურ ქერათმიან არსებას! ანდა, აი ლომი, რომელიც სადღაც შორს, მნახველების თავებს ზევით იყურებოდა. ბანჯგვლიანი საოცრება, შეჩვეული იმას, რომ, მას ყველანი უყურებენ...

სპილოს დახატვას კოლია არც კი ცდილა: იგი მას მოეჩვენა მეტისმეტად დიდი, ცოცხალი არსებისთვის თითქმის შეუსაბამო. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ეს ვეება რამ ცოცხლობდა. ეს სივრცის რაღაც გასულდგმულებული ნაწილი უფრო იყო, ვიდრე ცოცხალი სხეული. სამაგიეროდ ბევრს და ხალისით ხატავდა კოლია მსუბუქ ირმებს, მათი დიდი, თითქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ადამიანური, ფარული შიშით აღსავსე თვალებით. მეტისმეტად იზიდავდა ამ ცხოველების მოხდენილი მოხაზულობანი, რომლებიც ფაქიზად გადმოსცემდნენ მთელი ძარღვების დაძაბულობას.

ხატავდა იგი, აგრეთვე, სასაცილო, მზა კარიკატურების მსგავს მიმუნებს. და აი, აქ მას ერთხელ მეტად საინტერესო ამბავი შეემთხვა, რომელიც კირასადმი გაგზავნილი კიდევ ერთი წერილის საბაბი გახდა.

„30/VI-46 წელი.

ძვირფასო კიროჩკა!

როგორ ცხოვრობ? მგონია, მოწყენილები არ უნდა იყოთ. აქ აუტანელი სიცხეებია. უკვე ერთი თვეა არ უწვიმია. ქუჩებში მტვერია. გამოვიდა ახალი ფილმი — „ბალერინა", ძალიან საინტერესო სურათია. მე ახლა ხშირად დავდივარ ფეხბურთზე კულტურისა და დასვენების პარკში, ანდა ზოოპარკში. პარკში ერთი ძალიან სასაცილო ამბავი შემემთხვა, რომელსაც, როცა ჩამოხვალ, მოგიყვები ჯერჯერობით ნახვამდის, გისურვებთ კარგად დასვენებას.

კოლია.

მოიწერე".

„ცხოველთა მეფე" (ფანქარი).
ილუსტრაცია ი. კრილოვის იგავ-არაკისათვის.

ზოოპარკში კი, აი რა მოხდა: კოლია წავიდა იქ ჩანახატების გასაკეთებლად. ამჯერად თან ახლდა ერთი ძველი ამხანაგთაგანი პიონერთა სახლის სტუდიიდან — ბორია შპიგარევი.

ის ცუდი ბიჭი არ იყო, მაგრამ, რომ იტყვიან, ცოტა უქროდა. ხან ერთ საქმეს მოჰკიდებდა ხელს, ხან მეორეს, და ბოლომდე არაფერი არ მიჰყავდა. ერთი პირობა ხატვას სწავლობდა, ნიჭი ქონდა, მაგრამ მოთმინება არ ყოფნიდა და თავი მიანება იმდენად, რამდენადაც იმ დროისათვის უკვე თევზებით იყო გატაცებული. მოაწყო აკვარიუმი, მაგრამ მალე მოსწყინდა სხვადასხვა შინაური თევზი. არც ბედი სწყალობდა — ეხოცებოდა. ერთხანს პატეფონის ფირფიტების კოლექციებს ადგენდა, რადიოს ადაპტერი გაუკეთა. ოცნებობდა ელექტრო-დასაკრავზე, მაგრამ, მალე ამასაც თავი მიანება. ორიოდე წლის წინ ბორია შპიგარევი რაღაც სურათში გადაიღეს. ამ წარმატებამ ყმაწვილს მთლად თავბრუ დაახვია. იგი თავს უკვე გამოჩენილ ადამიანად თვლიდა. მართლაც, ქუჩაში ხშირად ცნობდნენ და ეკითხებოდნენ: შენ ხარ თუ არა კინოში პატარა პარტიზანის როლის შემსრულებელიო? კოლია არაერთხელ ეუბნებოდა მას:

— რა ტყუილუბრალოდ მოგაქვს თავი, ბორკა! აბა, შენ რა არტისტი ხარ? ერთხელ გაგიმართლა და ამის შემდეგ თავბრუ დაგესხა. გესწავლა რამე, როგორც სხვები სწავლობენ, თორემ ხომ ხედავ: ეს არ შეგეფერება, ის არ მოგწონს, ეს ხომ არაა შენი ნამდვილი საქმე!

— შენ რომ მთელი დღეები ხატავ? — ჯიუტობდა შპიგარევი. — ეს რა, შენი ნამდვილი საქმეა?

— მე ხომ ვსწავლობ ამას? — უხსნიდა კოლია. — სკოლაშიც ვმეცადინეობ, როგორც ყველა, და შენსავით სხვა საგნებზე ცხვირს არ ვიბზეკ.

და მართლაც, ბორია შპიგარევი კინოში მეტად აღარ გადაუღიათ იმიტომ, რომ უკვე გაიზარდა და აღარ იყო ისე მომხიბლავად კომიკური, როგორადაც იგი ორი წლის წინ მიიჩნიეს კინოსტუდიაში. სკოლაში იმავე კლასში დარჩა და ახლა უსაქმობისგან ხანდახან ხატავდა. საღებავების ყიდვაზე შინ უკვე უარს ეუბნებოდნენ. მაშინ, მან მოახერხა და დათხაპნა სურათი — „მთვარიანი ღამე ზამთარში", — ფეხსაცმლის ვაქსით, ფანჯრის საგოზავითა და კბილის პასტით. ამან ისე მოისყიდა კოლია, რომ ახლა იგი სისტემატურად დაყავდა ზოოპარკში. ერთად მუშაობა უფრო სახალისოც იყო.

იმ დღეს, ისინი მოეწყვნენ დიდ გალიასთან, რომელშიც ერთი ტრაპეციიდან მეორეზე მოუსვენრად ხტოდნენ პატარა პავიანები, მსუბუქად ისროდნენ მოქნილ ტანს გალიის ერთი კუთხიდან მეორეში.

ის იყო, ჩვენი მხატვრები საქმეს შეუდგნენ, რომ მოვიდნენ ვიღაც ბიჭები, — ორნი იყვნენ, — დაუწყეს ჯავრება, ხელისშეშლა:

— ეი, თხუპნიებო... რას დადიხართ ზოოპარკში. სახლშიც შეგიძლიათ მაიმუნები ხატოთ, დაჯექით სარკის წინ და ხატეთ.

კოლია ყურადღებას არ აქცევდა, განაგრძობდა მუშაობას. ხოლო, როდესაც ერთი მათგანი ძალიან ახლოს მივიდა მასთან, კოლიამ უკან მიუხედავად მოიცილა იგი ნიდაყვით. შპიგარევზე ამან ძალიან იმოქმედა. იგი იმ ბიჭების რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც მხოლოდ საბაბს ეძებენ დაწყებული საქმის მისატოვებლად. მზიანი დღეა, ძალიან ცხელა, — ამიტომ ვერ მუშაობს; წვიმა წამოვიდა, — ამინდთან ერთად ხასიათი უფუჭდება, აბა რა დროს მუშაობაა! სახელმძღვანელოს ფურცლებზე ბუზი დაჯდა — აბა, როგორ გადაშალოს: გაფრინდება! ამიტომ ბორიამ იმავე წუთს განაცხადა:

— არა, ასე მე არ შემიძლია, ისინი ნერვებზე მოქმედებენ, აღარ დავხატავ: ჯობია შინ წავიდეთ, რაზე გადავეკიდოთ...— და დაიწყო თავისი ნივთების ჩალაგება.

კოლია განაგრძობდა მუშაობას. როცა ნახატი ძირითადად მზად იყო, უკან დაიწია და შეხედა:

— მგონი მორჩა. თუმცა კიდევ ერთი მოსმაა საჭირო. — და გულმოდგინედ დაიწყო საღებავებიანი თუნუქის გახსნა. შემდეგ ბოთლიდან წყალი ჩაასხა პატარა შუშაში, ფუნჯი დაასველა.

— შენ რა, საღებავებით დახატავ გადაწყვიტე?

— მინდა ერთი მაიმუნი გავაფერადო. — წყნარად მიუგო კოლიამ.

ის დიდხანს ატრიალებდა ფუნჯს შუშაში, შემდეგ რაღაცას ურევდა ფინჯანზე და უცებ, ერთბაშად შემობრუნებულმა, უფროს ბიჭს ფუნჯი სახეზე ჯავარედინად გადაუსვა.

— აი, ახლა მზად არის! — თქვა კოლიამ მშვიდად.

ბიჭმა, რომელსაც სახეზე ყავისფერი საღებავი მოუსვეს, უნებლიედ უკან დაიხია, ფეხი აუცდა და ზურგით გალიის ბა-

ტროეკუროვთან.
(ილუსტრაცია ა. პუშკინის „დუბროვსკისათვის“).

ვუთმობ—ეს გასაგებიცაა. კიოჩკა მეკითხები, მახსოვს თუ არა ის საღამო. 1946 წლის 14 ივნისის საღამო, მე, ჩემ სიცოცხლეში სულ მემახსოვრება. მე მგონია, რომ ის არც შენ არასოდეს არ დაგავიწყდება... ნახვამდის მოსკოვში შეხვედრამდე“.

გამოცდების დრო

სუზდალცევები აგვისტოსთვის უნდა დაბრუნებულიყვნენ. კოლია მოუთმენლად ელოდა ამ დროს, მაგრამ ამას მოსდევდა მეორე, რომლის გახსენებაზეც პირდაპირ გული ელეოდა. ახლოვდებოდა სამხატვრო სკოლაში შესასვლელი საკონკურსო გამოცდები.

უკვე შეტანილი იყო განცხადება და ყველა სხვა საჭირო საბუთები. ყოველ შემთხვევისათვის მამა წაყვა კოლიას სკოლაში, რომ მოლაპარაკებოდა დირექტორს, გაეგო ყველაფერი, რაც გამოცდებს შეეხებოდა. სკოლა იმ დროს პერვომეშჩანსკაიას ქუჩაზე იყო, ორლოვ-დავიდოვსკის შესახვევში. მისულებს კარებში ხვდებოდა მაღალი, წვერიანი მეკარე, კეხიანი ცხვირით, რომელსაც, როგორც კოლიამ ბიჭებისაგან გაიგო, ჰუსეინს ეძახდნენ. ჰუსეინს ძველი უნტერივით გაპიმულად ეჭირა თავი. მან ბრძანებლურად გაშალა ხელი, მიუთითა, როგორ უნდა მოხვედრილიყვნენ დირექტორთან, და თან შეათვალიერა ფეოდორ ნიკოლაევიჩი და კოლია. ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, არც თუ ისე დიდად საიმედო ეჩვენა იმიტომ, რომ შეფიქრიანებულად გადაიქნია თავი და შემდეგ თავის ადგილზე დაბრუნდა კარებთან.

დირექტორი რაღაცით იყო დაკავებული და ფეოდორ ნიკოლაევიჩს თხოვეს ცოტა ხანს მოეცადა. ისინი იქვე, გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ, რომელიც ამ ივლისის ცხელი დღისათვის კოლიას მეტისმეტად ცივი ეჩვენა. მღელვარებით შეეურებდა იგი კაბინეტის თეთრ, მასიურ კარებს, რომელზეც შავი მინის ქვეშ მოოქროვილი ასოებით იყო გამოყვანილი „დირექტორი“. შეიძლება ამ კარებს იქით გადაწყვეტილიყო კოლიას ბედი. ორპირმა ქარმა კაბინეტის კარები გააღო. მზის ირიბი სხივი, მასში მოთამაშე მტვრის ნაწილაკებით ჭუჭრუტანიდან პარკეტის იატაკზე გაწვა. დიდი, ბრინჯაოსფერი ბუზი შეფრინდა სხივში, ერთ ადგილზე აცმუტდა, როგორც პატარა მწვანე შუშხუნა, თითქოს ჩაქრა, ისევ გაბრწყინდა და უშიშრად შეფრინდა კაბინეტში. კოლია ინტერესით ადევნებდა თვალს, რა იქნებოდა შემდეგ. ბუზი, ვითომც აქ არაფერიაო, გამოფრინდა დირექტორის კაბინეტიდან. კოლიას შეშურდა კიდეც: „აი, ეს არაფრად აგდებს, მე კი აგერ ვზივარ და ვიტანჯები...“.

მალე ფეოდორ ნიკოლაევიჩს თხოვეს დირექტორთან კაბინეტში. კოლია მარტო დარჩა. მამა მალე გამოვიდა და თქვა, რომ საბუთები მიღებულია, ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ დირექტორმა გააფრთხილა, რომ ამ წელს შესვლის მსურველთა რიცხვი ისე დიდია, როგორც არასდროს, და ამიტომ ძალიან სერიოზული კონკურსი იქნებაო.

როცა ისინი უკვე გამოდიოდნენ, მეკარე მიუახლოვდათ. მას ეცვა მოოქროვილი ღილებით გაწყობილი თეთრი ფრენჩი, და ოქროს სირმაშემოვლებული ქუდი ეხურა. „ჰუსეინ! ჰუსეინ!“ ეძახდნენ ბიჭები შესახვევის მეორე მხრიდან, მაგრამ მას წარბიც არ შეუხრია. ულვაშები შეათამაშა, ზევით აიპრიხა, კოლიასკენ დაიხარა და ფეოდორ ნიკოლაევიჩს მასზე მიუთითა.

— შემოდის? — იკითხა მან.

დეს მიენარცხა. იმავე წუთში ერთ-ერთმა დიდმა პავიანმა გრძელი, ძარღვიანი ხელი ბადიდან გამოყო და ბიჭს ხუთივე თითით თმებში ჩაფრინდა. შეშინებული ბიჭი მთელი ზოლპარკის გასაგონად აღრიალდა. ახლოს არავინ ეკარებოდა. გზაზე უკვე მორბოდა დარაჯი. მაიმუნი ცოცხით მოაშორეს, ბიჭი გამოათრიეს. მას თავზე ხელი წაევლო, ცრემლებს ჩამოერეცხა მის სახეზე საღებავი, რაც ლოყებზე წურწურით, ზოლებად ჩამოსდიოდა. პავიანი უკვე ზემო ტრაპეციაზე ირწეოდა, თითებს შლიდა და სქელი ტუჩების შებერვით იშორებდა ბიჭის თმებს. კოლია კი ჩაცუცქულიყო და ისე ხარხარებდა, რომ ბოლოს თავი ვერ შეიკავა და ქვიშანაყარ ბილიკზე დაგორდა.

აი ამ ამბის შესახებ წერდა იგი კირას. სწორედ ამ დროს მოვიდა წერილი ყირიმიდან. კოლია, მართალი რომ ითქვას, უკვე დიდი ხანია წუხდა... აქ კიდევ ყენჩა და ვიქტორინი აჯავრებდნენ, გადაკრულად ელაპარაკებოდნენ, რომ ვითომ ასეთ საქმეებში არავის არ უნდა ენდოო.

კოლიამ რამდენჯერმე გადაიკითხა კირას წერილი. მართალია, მასში უფრო მეტად აღწერილი იყო ზღვისა და ყირიმის ბუნების სილამაზე, მაგრამ კოლიას ესმოდა, რომ სხვაგვარად არ შეიძლებოდა. ხოლო, რაცა წაიკითხა, რომ ზღვა მშვენიერია, მაგრამ, მხოლოდ კოლიას შეუძლია ასეთი სილამაზის სათანადოდ შეფასება, მან ტკბილად ამოიხვნეშა. შემდეგ უცებ ხელი მოხვია კატიას, დაუწყო ნჯღრევა, თმების წეწვა:

— ოხ, კატკა, ჩემო ფინტიფლიგა! კარგი ხარ, თუმცა, კი არაფერი გესმის.

შემდეგ კირა ეკითხებოდა: ახსოვდა თუ არა კოლიას ის საღამო, რომელზეც ის ფიქრობს ყოველთვის, როდესაც მზე ზღვაში ჩადის...

კოლიამ დაიწყო პასუხის წერა:

„4/VII-46 წელი.

კიროჩკა!

მე და კატიამ მივიღეთ შენი წერილი. ვზივართ და სიამოვნებით ვკითხულობთ. ძალიან გვიხარია შენგან ბარათის მიღება. ჩვენ ხომ უშენოდ საშინლად მოწყენილები ვართ, — ისე, რომ აღარ ვიცით რა ვქნათ. კატია მთელი დღეები ნადიუშასთან თამაშობს, მე კი სულ ვკითხულობ, ანდა შენზე ვფიქრობ. რასაკვირველია, ამ მეორეს უფრო მეტ დროს

— დიახ, ვფიქრობთ. — უთხრა ფეოდორ ნიკოლაევიჩმა.

ჰუსეინმა ყოველგვარი მოწონების გარეშე ერთხელ კიდევ შეათვალიერა კოლია და მკაცრად ჩაახველა. მას საერთოდ უყვარდა საუბარი მომსვლელებთან. იგი უკვე რამდენჯერმე გადაიყვანეს ერთი ადგილიდან მეორეზე, — იმდენად მოაბეზრა უკვე თავი ყველას თავისი კითხვებითა და ცნობისმოყვარეობით. საკმარისი იყო, ვინმე მოსკოვში პირველად მყოფ გზადაბნეულს ეკითხა წარმოსადეგი, ავტორიტეტული შესახედაობის ჰუსეინისათვის, სად შეიძლება განცხადების შეტანა დაკარგული საბუთების შესახებო, რომ მეკარე უმალვე იწყებდა გრძელ, გაუთავებელ საუბარს:

„დაგეკარგა? ოხ, ღმერთო ჩემო! მითხარი, თუ ღმერთი გწამს!., მოგპარეს?... დახე რა ამბავი მომხდარა! ფული არ გქონდა?... აბა? ფულთან ერთად? ფუი, რა უბედურებაა! ფული ბევრი იყო?... ოცდათორმეტი მანეთი? მერე რა, ესეც ხომ ფულია? აბა, გადი ქუჩაში და ეძებე — ვინ მოგცემს! კიდევ რა იყო?.. ცნობა. რისი ცნობა?... მმაჩის? ამას არა უშავს, მოგცემენ.

ახლა იგი იქვნეულად შეყურებდა ორივე დმიტრიევს.

— როგორც ჩანს, გადაგიწყვეტიათ კონკურსში მონაწილეობის მიღება? — იკითხა ჰუსეინმა და ულვაშები შეათამაშა. მას ხანდახან უყვარდა მშობლების შეშინება, რომ ამ უკანასკნელებს კარგად შეეგნოთ, სად მოყავდათ თავიანთი პირმშოები. — ხელი გაყავთ? — კითხა მან ფეოდორ ნიკოლაევიჩს და მისკენ დაიხარა...

კოლიამ გაოცებით შეხედა მას, ის იყო დააპირა მუდამ მელანსა და საღებავებში დასვრილი ხელის აწევა, მაგრამ უმალვე შერცხვა და ხელი ზურგს უკან დამალა.

— მე გეკითხებით, დამხმარე თუ გყავთ-მეთქი? აქ ხომ უამრავი მსურველია, ადგილი კი ერთი—ორი.

როცა მიხვდა რაშიც იყო საქმე, კოლიამ მწყრალად შეხედა ულვაშებიან მეკარეს და მამა კარებისკენ მოქაჩა.

შინ მაინც გადაწყვიტეს, რომ ზედმეტი მხარდაჭერა საქმეს ხელს არ შეუშლის, მით უმეტეს, თუ ის კანონიერია და სამართლიანი. მამამ შეაგროვა კოლიას ბოლოდროინდელი ნამუშევრები და ძია ვალოდიასთან წავიდა.

— აბა, როგორაა შენი სეროვი? — იკითხა ვლადიმერ ვლადიმეროვიჩმა, როგორც კი ბიძაშვილი დაინახა.

— მისმინე, ვალოდია, მისი თანდასწრებით მაინც ნუ ეძახი ასე. ის ძალიან მორცხვია, თავდაბალი, შენ კი გააფუჭებ.

— იმის გაფუჭება შეუძლებელია, გესმის! — უთხრა ძია ვალოდიამ. და მხატვარმა ინტერესით დაუწყო თვალიერება მის ნამუშევრებს. — აბა, ერთი ამას დახედეთ როგორ იზრდება! ეს ხომ საოცრებაა! ლიოვა, მოდი აქ. ყველანი მოდით, შეხედეთ ჩვენი სეროვი როგორ გაზრდილა.

იგი ოთახში დააბიჯებდა, აქებდა კოლიას ნახატებს, სურათებს ისევ მაგიდაზე ყრიდა და ყველას უყვიროდა:

— თქვენ, რა გესმით! ტიტანი იზრდება, თქვენ კი ამბობთ „არ გააფუჭო“! განა შეიძლება მისი გაფუჭება საერთოდ? და რად სჭირდება მას ჩემი რეკომენდაცია. მაგრამ ინებეთ! როგორც ამბობენ, ფაფას ერბოთი ვერ გააფუჭებ. დიდი სიამოვნებით მივცემ, წმიდა გულით და წმიდა სინდისით, და არა იმიტომ, რომ ნათესავია.

იგი მაგიდას მიუჯდა, ამოიღო მოსკოვის სამხატვრო თეატრის ბლანკი, გარდიგარდმო გაწოლილი თეთრი თოლიით და სწრაფად ააკაკუნა საბეჭდ მანქანაზე.

„საშუალო სამხატვრო სკოლის დირექტორს!

გთხოვთ, მიიღოთ თქვენს სკოლაში ჩემი ბიძაშვილის შვილი ნიკოლოზ დმიტრიევი, 13 წლის, რომელიც მეცადინეობდა ბავშვთა სამხატვრო სკოლაში, აგრეთვე, პირადად ჩემთან ერთ, როგორც მე მიმაჩნია, გამოაღლინა დიდი მხატვრული ნიჭი.

სამხატვრო თეატრის მთავარი მხატვარი, სტალინური პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ვ. დმიტრიევი.
7/VII—1946 წელი“.

ფეოდორ ნიკოლაევიჩი ფრიად კმაყოფილი დაბრუნდა შინ. ამ წერილით. ალისფრად აენთო კოლიას ლოყები რეკომენდაციის წაკითხვისას. შემდეგ ერთხელ კიდევ გადაიკითხა ის თავიდან ბოლომდე, ყურადღებით ჩაათვალიერა თეთრი თოლიიდან მხატვრის ხელმოწერამდე — შეხედა დედ-მამას...

— გმადლობთ, მამა,—რბილად, თითქოს ეშინია არ აწყენინოსო, და ამავე დროს წარმოუდგენელი სიმტკიცით, რაც მის მიერ თხოვნის კილოთი წარმოთქმულ სიტყვებში გამოკრთა, წარმოთქვა მან, — მე არც კი მოველოდი, თუ ძია ვალოდია ჩემზე ასეთი კარგი წარმოდგენისა იყო. სინდისს გეფიცები, შესანიშნავია! ოღონდ ეს წერილი დაე ჩვენთან დარჩეს... მოიცა!.. მათქმევინე... თუ მე მართლა ისეთი ვარ, როგორც ძია ვალოდია ფიქრობს, მაშინ ყოველგვარი წერილის გარეშე ჩავბარებ. ხოლო თუ ძია ვალოდია შეცდა, ჯობია ახლავე გავიგოთ სიმართლე. თორემ მერე, მომავალში შემექნება საქმე სატირლად. არ წავიღებ მე ამას! — გაიმეორა მან, ჯიუტად გააქნია თავი, წერილი ლამაზად გაკეცა და კონვერტში ჩადო.

ასევე დარჩა ეს წერილი შინ, კოლიამ იგი შეინახა იმ საქაღალდეში, სადაც მის საუკეთესო ნახატებთან ერთად ინახებოდა სკოლაში მიღებული ქების სიგელი.

თარგმნა ბ. შელიამ

მოსკოვის ქუჩა (აკვარელი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაოლო იაშვილი

ნახ. რ. ცუცქირიძისა

ოთარ შოფერი

ცნობილი ქართველი პოეტი პაოლო იაშვილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე თავისი შემოქმედებით პირნათლად ემსახურებოდა ახალ, სოციალისტურ სამშობლოს. მისი ცნობილი ლექსები: „ლენინ“, „სტალინ“, „ახალ საქართველოს“, „თბილისი“, „სამგორისათვის“, „ახალ კოლხიდას“ და სხვ. უმღეროდნენ დიდ ბელადებს, სამშობლოს, დიად სოციალისტურ მშენებლობას, განახლებულ საქართველოს:

„ლექსად იქცევა, რაც გამიტაცებს...
მე ვხედავ ხალხის შეტევას გმირულს...“.

პაოლო იაშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე დიდი რუსი პოეტების — პუშკინისა და მაიაკოვსკის ლექსების ბრწყინვალე თარგმანები.

წელს „სახელგამი“ გამოსცემს პაოლო იაშვილის ლექსების ერთტომეულს, სადაც შეტანილია საბავშვო ლექსებიც. ვბეჭდავთ ერთერთ მათგანს.

მოიტანა მამამ ავტო,
უბენზინო და უნავთო;
გრძელი არის, ჭრელი არის,
საგზაო და სააღმართო.

უთხრა ოთარს: „ჩემო ოთარ!
აბა, ახლა, თუ ივარგე,
ეს მანქ ნა უნდა მოოთო
და გაწმინდო როგორც სარკე“.

ოთარს ძლიერ უხარია,
გაიძახის: „ეს რა ვნახე!“
ზამთარში რომ ბუხარია,
ისე ელავს მისი სახე.

სულ პატარა კარავში
გააკეთა გარაჟი,
და პატარა მანქანა
გარაჟში შეაქანა.

დაუწმინდა პედლები,
აქეთ-იქით არხია,
გაუკეთა ის თვლები,
ფარებს რომ ეძახიან.

ჩამოჰკიდა წინ და უკან
მეთორმეტე ნომერი...

— აბა, დედა, ჩქარა „ნუგა“,
დაიღალა მშრომელი!

გამოვიდა ქუჩაში,
დააჭირა პედალი
და გასრისა დედალი.

გამოვარდა მამალი,
ტირის,
ყვირის,
ყვირის,
ტირის:
„სად ვიშოვო წამალი,

სად ვიშოვო იოდი,
სად ვიშოვო სახვევი?!
აქეთ რომ მოდიოდა,
იქით ვერ გადახვედი?“

გამოცვივდნენ ბავშვები,
ხმაურია ძლიერი,
აღარ არის საშველი,
მოდის მილიციელი...

მამალს მოდის ღვარ ღვარად
ცრემლი შეუშრობელი...
აბა ოქმი, ოქმი ჩქარა!
რომელია შოფერი?

შეადგინეს დიდი ოქმი,
ჩაერიგნენ ყველანი...
ოქმს დასჭირდა ერთი დოქი
იისფერი მელანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე ქათამს უქაქანეს,
ეძახოდნენ: „აქში, აქში!“
დედალი კი გააქანეს
ჩვენი უბნის აფთიაქში.

დედლისათვის თურმე ფეხი
მოეტეხა ბოროტ პედალს;

მოიტანეს წმინდა ხერხი
და მოხერხეს ფეხი დედალს.

ასე მოხდა.. ამის გარდა
ასეც მოხდა მკათათვეში:
სასამართლო გაიმართა
კოჭლი დედლის საქათმეში.

გაიმართა ლაპარაკი,
ლაპარაკი ლაპარაკზე,
მოითხოვეს აგარაკი:
„გაიგზავნოს აგარაკზე“.

დაადგინეს: „რადგან, რაკი
უვიცობა აღიარა,
დედლისათვის აგარაკი
აირჩიოს,—სხვა კი არა,—

ან კოჯორი, ან კიკეთი,
დაუმზადოს სუფთა ხრეში,
აურიოს ქერში ფეტვი
და აჭამოს სამჯერ დღეში“.

მიჰყავს ოთარს, აღარ იცდის,
დედალი და მისი ბუდე...
მე კი ოთარს შეცდომისთვის
ერთი კვირით გავებუტე.



მონღოლური ხალხური ზღაპარი

ვინ უფროსია?

მგელმა და მელიამ გზაზე ლორის ნაჭერი იპოვეს.

— მოდი შევსანსლოთ, — უთხრა მგელმა.

— აბა რას ამბობ, — უპასუხა მელიამ, — აქ როგორ შეიძლება გაჩერება, ვერა ხედავ, რამდენი გამვლელ-გამომვლელია, გინდა სული გაგვაფრთხობინონ?

— მაშ რა ვქნათ, — დაღონდა მგელი, — ხომ არ გადავაგდებთ?

— ავიტანოთ აი, იმ მთაზე და დამშვიდებით შევექცეთ!

მთაზე რომ ავიდნენ მგელმა უთხრა:

— მოდი, შუაზე გავიყოთ.

— ასეთი პატარა ნაჭრის გაყოფა არცა ღირს, — უპასუხა მელიამ. — ერთ-ერთმა შევჭამოთ.

— მართალია! — უთხრა მგელმა. — მოდი, მე შევჭამ.

— ვინც ჩვენში უფროსი იყოს, იმან შეჭამოს, — უპასუხა მელიამ, — რამდენი წლისა ხარ?

„ოჰო! — გაიფიქრა მგელმა. — ახლა კი ოინს ვუზამ ამ მწითურ მელასო“.

— მე, ჩემო დაია, ძალზე მოხუცი ვარ, — აწკავწკავდა მგელი, — აღარც კი მახსოვს რამდენი წლისა ვარ, სათვალავი ამერია. ის კი მახსოვს რომ, როცა დავიბადე, აი, ეს მთა ჭაობის კოლბოხის ოდენაც არ იყო. ოკეანე კი პატარა გუბესავით იდგა.

მელამ რომ ეს პასუხი მოისმინა, ამოიკვნესა და ტირილი მორთო.

„ძალიან საქმე არ ვუყავი! — გუნებაში უხაროდა მგელს. — რამდენიც არ უნდა იტირო, ეს ლორი მაინც ჩემია!“

— რა დაგემართა, დობილო? — ჰკითხა მან მელიას. — კინ გაწყენინა?

— არავისაც არ ვუწყენინებივარ! — შეჰკვნესა მელიამ. — შენმა ნათქვამმა ამაღელვა, ჩემი განსვენებული უმცროსი ვაჟი გამახსენდა. სწორედ შენი ტოლი იყო, ერთ წელს ხართ დაბადებული.

თქვა თუ არა ეს, მელიამ თათებში მოიგდო ლორი და გემოზე შეექცა. მშიერი მგელი კი კუდამოძუებული გაიძურწა თავისი ბუნაგისაკენ.

თარგმნა ქეთევან ნადირაძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი ახალგაზრდა პოეტები

ოთარ შალამბერიძე

გვეგეგებიან სკოლები

დავტოვეთ ლურჯი გორები,
ის მშობლიური გორები;
დავტოვეთ დედა ბუნების
მშვენება უმეორები;
დავტოვეთ ვრცელი ტყეები,
ზურმუხტოვანი მინდვრები;
დიდი სიმღერით მოვდივართ,
სულ დიდ სიხარულს გპირდებით!...
კვლავ მონდომებით სწავლაა
ჩვენი ფიქრი და ოცნება;
ჩვენი ფიქრი და ოცნება
იქითკენ მიიტყორცნება.

მოვდივართ, მოგვილხენია,
ცას წვდება ხმა დაფდაფების,
გვეგებებიან სკოლები
ახალ-ახალი დაფებით;
გვეგებებიან სკოლები
ახალთ-ახალი მერხებით.
მერხებს, — განუყრელ მეგობრებს
გულის ფრიალით შევხვდებით!..
დავტოვეთ დედა-ბუნების
მშვენება უმეორები!...
გვეთხოვებიან გორები,
გვეგებებიან სკოლები.

ოთარ კუპრავა

კომკავშირელი გავხდები მალე

შემისრულდება მალე თოთხმეტი,
გული ამ ფიქრით ხარობს.
წამოვიზარდე, ვერავინ მეტყვის
ისევ პატარა ხარო!

გულით შევხარი მშობლიურ მხარეს,
დამაქვს ოცნება ტკბილი:
კომკავშირელი გავხდები მალე,
წინ უფრო მედგრად ვივლი.

მტკიცედ დავიცავ მის წმინდა სახელს,
დროშას ამაყად აწვდილს, —
როგორც დღეს ვიცავ წითელ ყელსახვევს—
წითელი დროშის ნაწილს!

ვასილ სმირნოვი

ბალადა პიონერზე

ცხოვრებას ფიქრობდა
ის სხვისი ოფლით,
ქურდი და უქნარა,
შემრცხვენი სოფლის.!
და ერთხელ ნაპარავ
ტომარით, ღამე,
შიშისგან შემკრთალი
ითვლიდა წამებს.
მას ღამის წყვდიადი
აძლევდა იმედს
და ზურგით ხორბალი
მიჰქონდა მძიმედ.
და აი, შემთხვევით
გზის პირას, ვერხვთან,
პატარა ბიჭუნას —
პიონერს შეხვდა.
რომ მისი ამბავი
არ ეთქვა არსად,
ჯერ სცემდა, სტანჯავდა
ჯალათის მსგავსად.
ბოლოს კი ცბიერმა
მისთვის თავს იდვა:
ხვალ ველოსიპედის
უთუოდ ყიდვა.
მაგრამ ქურდბაცაცა
ვერაფერს გახდა,
მამაცმა ბიჭუნამ
დატოვა სახტად, —
მან მისი ქურდობა
აცნობა ყველას,
საქათმის კარებზე
მიუსწრეს მელას:

და განთიადისას
შეიპყრეს ქურდი,
ღამით რომ სოფლიდან
გაპარვა სურდა.
შეიპყრეს ბაცაცა,
უქნარა, ფლიდი,
და უთხრეს პიონერს
მადლობა დიდი.

თარგმნა **ალ. ბეგაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავები

უამრავი ვარსკვლავებით მოჭედილი ცის მშვენიერი სურათი მუდამ იპყრობდა ადამიანის ყურადღებას. ჯერ კიდევ ძველად, ცაზე უწესრიგოდ მიმობნეულ ამ მოციმციმე სხეულებს შორის, განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ყველაზე მეტად მოკაშკაშე ვარსკვლავებს, მათი რიცხვი არც თუ ისე დიდია, ვარსკვლავიანი ცის მთლიან პანორამაში ეს დიდი ვარსკვლავები ქმნიან ერთბაშად შესამჩნევ ცალკეულ ფიგურებს — ვარსკვლავთა ჯგუფებს — ვარსკვლავედებს. ძველი დამკვირვებლის გულუბრყვილო ფანტაზია ვარსკვლავთა მიერ შექმნილ ამ ცალკეულ ფიგურებში ზედავდა ცხოველების, მითიური გმირების თუ საგნების მსგავსებას. ამის გამო ვარსკვლავებს არქმევდნენ: დათვის, ლომის, ვეშაპის, კუროს, ჰერკულესის, პერსეის, ორიონის, შვილდოსანის და სხვათა სახელებს.

ასეთი სახელები უცნაურად გვეჩვენება, რადგან ვარსკვლავედებში ვარსკვლავთა განლაგება სრულებითაც არ მოგვაგონებს იმ ცხოველის თუ საგნის ფორმას, რომელთა სახელებიც მათ მიაკუთვნეს. მაგალითად, ყველასათვის ცნობილი ვარსკვლავედები დიდი და პატარა დათვისა, უფრო მეტად მოგვაგონებს კოვზის ან ტაფის ფორმას, ვიდრე დათვის გარეგნობას.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელები ფანტასტიკურია, მაინც შენარჩუნებულია და ხმარებაშია, რადგან მეცნიერებისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რას დავარქმევთ ამა თუ იმ ვარსკვლავთ ჯგუფს. დღეისათვის ჩრდილოეთ და სამხრეთ მთელი ცა დაყოფილია 88 ცალკეულ მიდამოდ — ვარსკვლავედად. დღევანდელი გაგებით ვარსკვლავედი წარმოადგენს არა ვარსკვლავების ცალკეულ კრებულს, არამედ ცის გარკვეულ უბანს, რომელიც შეიცავს ამ არეში არსებულ ყოველ ციურ სხეულს. მთელი ცის ასე ცალკეულ უბნებად დაყოფა აადვილებს ვარსკვლავების შესწავლის საქმეს.

ყოველი ყურადღებიანი დამკვირვებელი შეამჩნევს, რომ ცის გუმბათი, მასზე მიმობნეული ვარსკვლავებით, ბრუნავს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ისე, რომ ვარსკვლავთ შორის მანძილები არ იცვლება და მათგან შექმნილი ვარსკვლავედების ფორმაც უცვლელი რჩება.

ჩრდილოეთ ცაზე შეამჩნევთ, რომ ყველა მოძრავ ვარსკვლავთა შორის ერთი ვარსკვლავი — პატარა დათვის კუდის ბოლო ვარსკვლავი — უძრავად დგას. ის არ იღებს ცის გუმბათის დღეღამურ ბრუნვაში მონაწილეობას. მას პოლარული ვარსკვლავი ეწოდება. დამკვირვებლის თვალის პოლარულ ვარსკვლავთან შემაერთებელი სწორი იქნება ის მიმართულება, რომელსაც უწოდებენ სამყაროს ღერძს და რომლის გარშემოც სდება მთელი ხილული ცის დღეღამური ბრუნვა.

ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ჩვენს მიერ შემჩნეული ბრუნვა მოჩვენებითია. ცის თაღის ასეთ მოჩვენებითი ბრუნვის ჭეშმარიტი მიზეზი თვით დედამიწის თავის ღერძის გარშემო ბრუნვაშია.

ყოველმა მოსწავლემ იცის, რომ დედამიწა სრულ შემობრუნებას თავის ღერძის გარშემო ერთ დღეღამეს უნდება. ბრუნვა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ხდება და ჩვენ, დედამიწაზე მცხოვრებთ, გვეჩვენება, თითქოს ჩვენ კი არა (დედამიწა), ცის გუმბათი ასრულებს დღეღამურ ბრუნვას და ისიც საწინააღმდეგო მიმართულებით — აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ჩვენ გვეჩვენება ეს მოძრაობა ისევე მცდარად, როგორც სწრაფად მოძრავი მატარებლის ფანჯარასთან მყოფ მგზავრს ეჩვენება, თითქოს ის კი არა, პირიქით, მის გარშემო ხილული მიდამო და საგნები მიჰქრიან და სტოვებენ მას. მაშასადამე, ცის დღეღამური ბრუნვა მოჩვენებითი მოვლენაა — ცა სინამდვილეში უძრავია.

* * *

აბსოლუტურად უძრავია თუ არა ციური სხეულები — ვარსკვლავები?

რა თქმა უნდა, არა. ყოველ ვარსკვლავს სინამდვილეში აქვს საკუთარი მოძრაობა. ყოველი ვარსკვლავი დიდი სიჩქარით მიჰქრის სამყაროს სივრცეში, მაგრამ მათი ჩვენგან დიდი სიშორის გამო ამ მოძრაობას ვერ ვამჩნევთ. ვარსკვლავთ ხილული გადაადგილება ცაზე იმდენად უმნიშვნელოა, რომ ათეული წლების მანძილზე ისინი შეიძლება უძრავ წერტილებად ჩავთვალოთ.

ვარსკვლავები სიკაშკაშის მიხედვით დაყოფილია ვარსკვლავურ სიდიდეებად. მაგალითად, კაშკაშა ვარსკვლავს — ალდებარანს — პირველი სიდიდისას უწოდებენ. ამ ვარსკვლავთან შედარებით 2,5-ჯერ უფრო სუსტად მოკაშკაშე პოლარულ ვარსკვლავს მეორე ვარსკვლავურ სიდიდისას უწოდებენ, ხოლო ამ უკანასკნელზე — პოლარულზე — 2,5-ჯერ უფრო სუსტად მოკაშკაშეს, მესამე სიდიდის ვარსკვლავს უწოდებენ, და ა. შ.

ადამიანის ჯანსაღ თვალს უმთვარო, კარგად მოწმენდილ ღამით შეუძლია შეამჩნიოს მეექვსე სიდიდის ვარსკვლავი. დღევანდელი დიდი ტელესკოპები ამჩნევენ 21 სიდიდის ვარსკვლავებს. ამ მეტად სუსტი ვარსკვლავის სიკაშკაშე ას მილიონჯერ ნაკლებია პირველი სიდიდის ვარსკვლავის სიკაშკაშესთან შედარებით.

ვარსკვლავთ ხილული სიკაშკაშის მიხედვით მათი ამგვარი კლასიფიკაცია არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რამდენად კაშკაშაა ვარსკვლავი სინამდვილეში, რადგან არ ვიცით რა მანძილზეა იგი ჩვენგან. იმისათვის, რომ ვარსკვლავების ჭეშმარიტი სიკაშკაშეები, სიდიდეები და სხვა მონაცემები გავიგოთ, საჭიროა ვიცოდეთ მანძილები ამ ვარსკვლავებამდე ჩვენგან.

* * *

კაცობრიობამ XVIII საუკუნემდე თითქმის არაფერი იცოდა ვარსკვლავების შესახებ. პირველად დიდმა მეცნიერმა ნიუტონმა მის მიერ აღმოჩენილი ბსოფლიო მიზიდულობის კანონის გამოყენებით დამტკიცა, რომ ვარსკვლავები რამდენიმე ათასჯერ უფრო შორს არიან დედამიწიდან, ვიდრე მზე, და ისინი ისეთივე გავარვარებული, თვითმნათი ციური სხეულებია, როგორიც ჩვენი მზეა. მაშასადამე, ვარსკვლავები მზესავით ცხელი თვითმნათი სხეულებია და რამდენიმე ათასჯერ უფრო შორს არიან ვიდრე მზე. მაგრამ რამდენ ათასჯერ უფრო შორს? ასეთი უზარმაზარი მანძილის გაზომვა 1838 წელს დიდმა მეცნიერმა ბესელმა შეძლო. მან ერთერთ ვარსკვლავამდე მანძილის სიდიდე განსაზღვრა. ბესელმა მეტისმეტად ზუსტი ასტრონომიული დაკვირვებებით გაზომა ეგრეთწოდებული ვარსკვლავთ პარალაქსი, ესე იგი ის მცირე კუთხე, რომლითაც ვარსკვლავიდან გამოჩნდება დედამიწის ორბიტის რადიუსი.

წარმოვიდგინოთ (ნახ. 1) S წერტილში — მზე, M წერტილში — ვარსკვლავი და, ვთქვათ, დედამიწა ABC მრუდით მზეს წელიწადში ერთხელ შემოუვლის გარშემო. ცხადია, A წერტილიდან B წერტილში მისვლას დედამიწა ნახევარ წელიწადს მოანდომებს. თუ ასტრონომმა ზუსტი დაკვირვებით მოახერხა A და B წერტილებში დედამიწის დგომის დროს განსაზღვრა π კუთხისა, ე. ი. თუ გამოითვალა π პარალაქსის რიცხვითი სიდიდე, მაშინ AMS სამკუთხედიდან უფროსი კლასის მოსწავლესაც კი შეუძლია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტივად გამოიანგარიშოს ვარსკვლავამდე A M მანძილი, რადგან ცნობილია, რომ მზემდე AS მანძილი 150 მილიონ კილომეტრს უდრის.



ნახ. 1.

ასეთი და სხვა ახალი მეთოდებით დღეს გამოთვლილია ბრავალი ათასეული ვარსკვლავის პარალაქსი.

წახაზიდან ცხადია, რომ პარალაქსი მით უფრო დიდია, რაც უფრო ახლოსაა სხეული ჩვენგან. ვარსკვლავთ შორის ყველაზე დიდი პარალაქსი აღმოაჩნდა სუსტ ვარსკვლავს, პროქსიმა ცენტავრას. პარალაქსის ასეთი რიცხვითი სიდიდე გამოანგარიშებით გვაძლევს ორმოც ბილიონ (40.000.000.000.000) კილომეტრს, ესე იგი იმ მანძილს, რაც ჩვენ გვაშორებს ვარსკვლავთ შორის ამ უახლოეს ვარსკვლავს. ეს მანძილი 272000-ჯერ უფრო მეტია ვიდრე მზესა და დედამიწას შორის არსებული მანძილი. ამ მანძილის უკეთ გააზრებისათვის მოვიყვანოთ მაგალითი:

წარმოვიდგინოთ, რომ არსებობს ისეთი თვითმფრინავი, რომელიც საათში 300 კილომეტრის სიჩქარით შეუჩერებლივ იფრენდა ამ ვარსკვლავის მიმართულებით. ასეთი თვითმფრინავი 1521000 წლის შემდეგ მიფრინდებოდა ვარსკვლავ პროქსიმა ცენტავრაზე.

პროქსიმა ცენტავრას დანახვა შეიძლება დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროდან. ჩვენს ცაზე, დედამიწის ჩრდილოეთ ნახევარსფეროდან ყველა ცნობილ ვარსკვლავთა შორის ყველაზე ახლო და კაშკაშა ვარსკვლავი სირიუსია და ის ოთხმოცდასამი ბილიონი (83.000.000.000.000) კილომეტრითაა დაშორებული დედამიწიდან. შევეცადოთ ამ მანძილის წარმოდგენას შემდეგნაირად: ვთქვათ, თბილისიდან მოსკოვამდე გავაბით ობობას წმინდა ძაფი. მთელი ამ ძაფის წონა 30 გრამს არ აღემატება, ხოლო დედამიწიდან მზემდე 150 მილიონი კილომეტრის სიგრძის ასეთი ძაფი სამი ტონა იქნებოდა. მაგრამ ასეთივე ძაფს თუ წარმოდგენით გავაბამდით ვარსკვლავ სირიუსამდე, ის აიწონიდა 1.660.000 ტონა. სირიუსივით შორს რომ ყოფილიყო ჩვენგან, მაშინ ასე ვერ გაგვანათებდა და გაგვათბობდა, ის გამოჩნდებოდა ძალიან ერთერთი სუსტად მოკაშკაშე ვარსკვლავი.

ვარსკვლავ სირიუსიდან სინათლის სხივი დედამიწაზე 8,6 წლის შემდეგ აღწევს. ასტრონომიაში ამ უზარმაზარ ვარსკვლავთშორისო სივრცეების საზომ ერთეულად შემოღებული იქნა ეგრეთწოდებული „სინათლის წელიწადი", ესე იგი ის მანძილი, რასაც სინათლის სხივი წელიწადში გაივლის. როგორც ცნობილია წელიწადი შეიცავს 31 მილიონზე მეტ წამს, ხოლო სინათლის სიჩქარე წამში 300.000 კ. მ. უდრის. მაშასადამე, სინათლის სხივი წელიწადში გადის 31 მილიონი × 300000 კილომეტრზე, რაც 9.463.000.000.000 კილომეტრს უდრის.

აი, ზოგიერთი კაშკაშა ვარსკვლავი, რომელთა დაშორება დედამიწიდან „სინათლის წლებშია" მოცემული:

ვარსკვლავების სახელები	მანძილი „სინათლის წლებში"
პროქსიმა ცენტავრა	4,3
სირიუსი	8,6
პროციონი	10,5
ალტაირი	16
ვეგა	26
პოლუქსი	32
კასტორი	43
კაპელა	52
ალდებარანი	59
რეგული	63
სპიკა	230
ბეტელგეიზე	270
ანტარესი	340
რიგელი	470
დენები	650

უაღრესად ძლიერი თანამედროვე ტელესკოპებით დღეს ჩვენ ვამჩნევთ ისეთ შორეულ მნათობს, საიდანაც სინათლის სხივი დედამიწაზე მოსვლას ათ მილიონ საუკუნეს ანდომებს. ეს რიცხვი შეიძლება ჩაითვალოს დღეისათვის ცნობილი სამყაროს რადიუსად, თუმცა, საკმარისია შეიქმნას არსებულთან შედარებით რამდენადმე ძლიერი ტელესკოპი, რომ ცნობილი სამყაროს რადიუსი უფრო მეტად გაიზარდოს.

მაშასადამე, ვარსკვლავს არა ისეთს ვხედავთ, როგორიც ის დაკვირვების მომენტშია, არამედ მას ჩვენ ვხედავთ ისეთს, როგორიც ის იყო იმ მომენტში, როცა მისგან წამოვიდა სინათლის ის სხივი, რომელმაც მხლოდ ახლა მოაღწია ჩვენამდე. რაც უფრო შორსაა ვარსკვლავი, მით უფრო გვიან ხდება ჩვენთან სინათლის სხივი, ამის გამო ხილული სამყარო არ მიეკუთვნება დროის ერთსა და იმავე მომენტს. გამოდის, რომ სამყაროს არათანამედროვეს, არამედ მის წარსულ მდგომარეობას ვაკვირდებით და ვსწავლობთ.

ცეცონია, რომ სუსტად მოკიაფე ურიცხვ ვარსკვლავთა დათვლა შეუძლებელია, მაგრამ ასტრონომებმა დიდი ხანია შეუთანაღებელი თვალით ხილული ვარსკვლავების რაოდენობა გამოარკვიეს. ნორმალური მხედველობის ადამიანს დედამიწის ჩრდილოეთ, ან სამხრეთ ნახევარსფეროდან უმთვარო და უნისლო ღამით შეუძლია დაინახოს 3000 ვარსკვლავამდე. ყველა ეს ვარსკვლავი ცნობილია, განსაზღვრულია ცაზე მათი ადგილმდებარეობა და თავიანთი სახელებით შეტანილია სპეციალურ წიგნებში — ვარსკვლავთ კატალოგებში. მაგრამ შეუიარაღებელი თვალით ხილული ვარსკვლავების რაოდენობა ხომ საოცრად მცირეა სამყაროში არსებულ ვარსკვლავთ რაოდენობასთან შედარებით. საკმარისია ცას ღრუბინდით გავხედოთ და რამდენიმე ათეულჯერ მეტ ვარსკვლავს დავინახავთ, ვიდრე შეუიარაღებელი თვალით. დღეგანდელი ძლიერი ტელესკოპებით შემჩნეულ ვარსკვლავთა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაოდენობა კი ათეულ მილიონებს აჭარბებს. ჩვენი მზეც ვარსკვლავია და, ცხადია, ურიცხვ ვარსკვლავთა შორის იგი ყველაზე უკეთაა შესწავლილი მისი სიახლოვის გამო.

გავიხსენოთ, რომ მზის მასა 330000-ჯერ მეტია დედამიწის მასაზე, ხოლო მოცულობით 1300000-ჯერ მეტია დედამიწაზე. მზის სიმკვრივე დაახლოვებით წყლის ერთნახევარი სიმკვრივის ტოლია, ზედაპირული ტემპერატურა 6000 გრადუსს უდრის, ხოლო მზის ცენტრში ტემპერატურა 20.000.000 გრადუსით განისაზღვრება.

სხვა ვარსკვლავებთან მზის შედარება გვარწმუნებს, რომ მზე არ წარმოადგენს რაღაც განსაკუთრებული სიდიდის ვარსკვლავს. მრავალი ვარსკვლავი გაცილებით დიდი და კაშკაშაა, ზოგი მასზე მცირე და ნაკლებად კაშკაშაა. მზე ჩითვლება საშუალო, რიგით ვარსკვლავად, რომლის მსგავსი მილიონობით ვარსკვლავია სივრცეში.

* * *

როგორია ვარსკვლავების სიკაშკაშე?

ვარსკვლავების და მზის სიკაშკაშის განსაზღვრის შედეგად გამოირკვა, რომ ჩვენს ცაზე ბევრი ვარსკვლავი მზეზე უფრო კაშკაშაა. ვარსკვლავი სირიუსი მზეზე 26-ჯერ უფრო კაშკაშა აღმოჩნდა, ესე იგი ის ისე ანათებს, როგორც 26 მზე ერთად გაანათებდა. ბუმბერაზი ვარსკვლავები, მაგალითად, ვარსკვლავი რიგელი 1600-ჯერ მეტად ანათებს ვიდრე მზე, ან კიდევ ვარსკვლავი S — ოქროს თევზების ჯგუფიდან — 400.000-ჯერ მეტად ანათებს ვიდრე ჩვენი მზე. მეორეს მხრივ მონახულია ვარსკვლავები, რომელთა ჭეშმარიტი სიკაშკაშე გაცილებით ნაკლებია მზის ჭეშმარიტ სიკაშკაშეზე. ჩვენგან უახლესი ვარსკვლავის, პროქსიმა ცენტავრას სიკაშკაშე 15000-ჯერ ნაკლებია მზის სიკაშკაშეზე. არის ისეთებიც, რომლებიც კიდევ უფრო სუსტად, რამდენიმე ათეულ ათასჯერ ნაკლებად ანათებს ვიდრე ჩვენი ვარსკვლავი — მზე.

რამდენად ცხელია ვარსკვლავები?

ვარსკვლავთა ტემპერატურების განსაზღვრისათვის ასტრონომიაში რამდენიმე მეთოდი არსებობს, მაგრამ ყველა მათგანი ვარსკვლავის ზედაპირული ტემპერატურის სიდიდეს ცვალებს და მის სიღრმეში არსებული ტემპერატურა მხოლოდ თეორიული გამოთვლით შეიძლება შეფასდეს. ვარსკვლავები ზედაპირული ტემპერატურით ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებიან. ყველაზე ცივი ვარსკვლავების ზედაპირული ტემპერატურა 2000 გრადუს უდრის, ხოლო ყველაზე ცხელი ვარსკვლავებისა — 30.000 გრადუსს.

არსებობს თვალისმომჭრელი სიკაშკაშის მქონე ეგრეთწოდებული ახალი ვარსკვლავები, რომელთა ტემპერატურა 140.000 გრადუსს აღწევს. ასეთი ცხელი ვარსკვლავების სიღრმეში სიმხურვალე 40-50 მილიონ გრადუსს უდრის. ამგვარად, ბუნებაში ცნობილი ყველაზე დიდი ტემპერატურა ვარსკვლავების სიღრმეებშია და ამ საშინელი ტემპერატურის წარმოსადგენად საკმარისია ვთქვათ, რომ ასეთი ტემპერატურის მქონე ქინძისთავისოდენა მასა გაჩოყოფს იმდენ სითბოს, რომ 1500 კილომეტრის დიამეტრზე მოსპობდა ყოველგვარ სიცოცხლეს.

* * *

რა ზომისაა ვარსკვლავები?

დღევანდელ უძლიერეს ტელესკოპებშიაც კი ვარსკვლავების ბადრის, მათი დიდი სიშორის გამო, ვერ ვხედავთ. ისინი წერტილებად მოჩანან. მიუხედავად ასეთი დაბრკოლებისა, მეცნიერებმა შექმნეს ისეთი გონებამახვილური მეთოდი, რომლის საშუალებითაც გამოითვლება ტელესკოპში წერტილად ჩანული ვარსკვლავის დიამეტრი. ვარსკვლავთა დიამეტრების გაზომვისას გამოირკვა, რომ არსებობს დიდად განსხვავებულ მოცულობათა მქონე ვარსკვლავები (ნახ. 2). დაეახასიათოთ ზოგიერთი სხვადასხვა ზომის ვარსკვლავი. ყველაზე მცირე ზომისანი წითელი და თეთრი ქონდრის ვარსკვლავები აღმოჩნდნენ. მაგალითად, ერიდანის ვარსკვლავედში



ნახ. 2.

მონახული იქნა პატარა, მაგრამ მეტად ცხელი ვარსკვლავი, რომელიც მოცულობით 200.000-ჯერ მცირეა მზეზე. ცნობილ ვარსკვლავთა შორის ყველაზე მცირე კეიპერის ვარსკვლავია. მისი დიამეტრი 153-ჯერ ნაკლებია მზის დიამეტრზე, ხოლო 1,5-ჯერ ნაკლები დედამიწის დიამეტრზე. არსებობენ აგრეთვე უზარმაზარი ვარსკვლავები ბუმბერაზები და ზებუმბერაზები. ასე მაგალითად, ვარსკვლავი არქტური მოცულობით 17.000-ჯერ, დენები — 43.000-ჯერ, ალდებარანი — 60.000-ჯერ, ანტარესი — 34.000.000-ჯერ მეტია მზეზე. ან კიდევ ვარსკვლავ VV-ცეფეიში (ნახ. 3) ჩაეტევა მზე თავისი პლანეტებით, იუპიტერის ორბიტის ჩათვლით. ამ ვარსკვლავის დიამეტრი 1.200-ჯერ მეტია მზის დიამეტრზე. თუ ჩვენ მას წარმოვიდგენთ გახვრეტილს დიამეტრის მიმართულებით, და ამ გვირაბში გავისვრით ყუმბარას, რომელიც შეუჩერებლივ იფრენს საათში 1000 კილომეტრის სიჩქარით, მაშინ ყუმბარა ვარსკვლავის მთელ დიამეტრს გაიფრენდა და გვირაბის გამოსავალში მივიდოდა 180 წლის შემდეგ. ირკვევა, რომ VV-ცეფეი არ წარმოადგენს ვარსკვლავთა შორის ყველაზე დიდი მოცულობის ვარსკვლავს. უკანასკნელ დროს მონახულ იქნა მეტად შორეული, თვალისათვის სუსტად შესაჩნევი ვარსკვლავი ეპსილონ მეეტლისა, რომელიც ზებუმბერაზია და მისი მოცულობა 2000000000-ჯერ აღემატება მზის მოცულობას.

* * *

რა მასის და სიმკვრივის არიან ვარსკვლავები?

სულ სხვა სურათს გვაძლევს ვარსკვლავთ მასების გამოკვლევა. მიუხედავად იმისა, რომ ვარსკვლავები თავიანთი ზომებით საოცრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მათი მასების რაოდენობა დიდად არ განსხვავდება მზის მასისაგან. იმ ვარსკვლავებიდან, რომელთა მასები დღეს განსაზღვრულად შეიძლება ჩაითვალოს, დაახლოებით ცვალებადობს 0,1-დან 15 მზის მასამდე. აქედან ცხადია, რომ ვარსკვლავთ სიდიდეებში ნაჩვენები კონტრასტები მოგვცემს მათ სიმკვრივეთა შორის შეუდარებლად დიდ განსხვავებებს.

ვარსკვლავი სირიუსი ერთ ვარსკვლავად გვეჩვენება, სინამდვილეში კი იგი შედგება ორი ერთმანეთთან ახლოს მდებარე ვარსკვლავისაგან, რომლებიც საერთო სიმძიმის ცენტრის გარშემო ბრუნავენ. მათგან ერთი ვარსკვლავი მეორეზე ნაკლები სიდიდისა და სიკაშკაშისაა, ამის გამო სუსტ ვარსკვლავს დიდის თანამგზავრი უწოდეს. 1924 წელს აღ-



ნ.ხ. 3.

მოჩნდა, რომ სირიუსის თანამგზავრის ზედაპირი უფრო თეთრი და კაშკაშაა, ვიდრე მზის ზედაპირი, მაგრამ სინათლის საერთო რაოდენობა 300-ჯერ ნაკლები აქვს მზის სინათლესთან შედარებით. მისი დიამეტრი მხოლოდ 4-ჯერ მეტი აღმოჩნდა დედამიწის დიამეტრზე მაშინ, როცა ამ ვარსკვლავის მასა თითქმის მზის მასის ტოლია. ამის გამო ვარსკვლავის სიმკვრივე საოცრად დიდია. ის 2000-ჯერ აღემატება ოქროს სიმკვრივეს და 40.000-ჯერ წყლისას. შემდეგ გამოირკვა, რომ სირიუსის თანამგზავრი იშვიათ გამონაკლისს არ წარმოადგენს სამყაროში და მისი მსგავსები კიდევ მოიპოვებიან სივრცეში. მათ თეთრი ჭონდრის ვარსკვლავები უწოდეს. ამ მხრივ შესანიშნავია კაიპერის ვარსკვლავი: მისი სიმკვრივე პლატინის სიმკვრივეზე 10.000-ჯერ მეტი აღმოჩნდა და ამ ვარსკვლავის ერთი კუბიკური სანტიმეტრის მოცულობის მასა ას ტონას აიწონის.

თანამედროვე ფიზიკა ვარსკვლავთ ასეთ დიდ სიმკვრივეებს იმით ხსნის, რომ ამ ვარსკვლავების სიღრმეში დიდი ტემპერატურის გამო ატომები კარგავენ ელექტრონებს — ხდება იონიზაცია და, რადგან იონიზებული ატომის დიამეტრი შეუდარებლად მცირეა მის საწყის დიამეტრთან, ატომები ერთმანეთთან ისე შემჭიდროვდებიან, რომ მათი სიმკვრივე დიდად გადააჭარბებს ნებისმიერი ლითონის სიმკვრივეს და ისევ გაზად დარჩება.

თუ ჭონდრის ვარსკვლავებს ასეთი დიდი სიმკვრივის მასები აღმოაჩნდათ, ბუმბერაზ და ზებუმბერაზ ვარსკვლავებს პირიქით, საოცრად დაბალი სიმკვრივე აქვთ. მაგალითად, ვარსკვლავ ანტარესის სიმკვრივე მილიონჯერ ნაკლებია წყლის სიმკვრივეზე და 1077-ჯერ მსუბუქია ჩვეულებრივ ატმოსფეროზე, ხოლო გიგანტი ბეტელგეიზე 2-ჯერ ნაკლები სიმკვრივისაა ვარსკვლავ ანტარესის სიმკვრივესთან შედარებით. თუ ზებუმბერაზ ვარსკვლავს S -ს გავიხსენებთ ოქროს თევზების ვარსკვლავედიდან, ამ ვარსკვლავს კიდევ რამდენიმე ათასჯერ ნაკლები სიმკვრივე აქვს ვიდრე ანტარესს.

* * *

საღ იმყოფება ჩვენი ვარსკვლავი — მზე — სამყაროში?

ღამით მოუშენდილ ცაზე ცხადად ვამჩნევთ ვერცხლისფერ, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ღრუბლების მსგავს თხელ შრეს, რომელიც ცის გუმბათზე გადაჭიმულა ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე. ეს შრე ჰორიზონტქვემოთაც გრძელდება და, როგორც ბეჭედი, ისე ერტყმის გარშემო დედამიწას. ეს ვარსკვლისფერ ლენტს ბერძნები ძველად „გალაქსის“ უწოდებდნენ, რაც ნიშნავს რძის წრეს. ქართველები „ირმის ნატოლს“, ან „რძის გზას“ უწოდებენ.

პირველად დიდი მეცნიერი გალილეი 1610 წელს თავის გამოგონილი ტელესკოპის საშუალებით დარწმუნდა, რომ „რძის გზა“ შედგება უთვალავ სუსტ ვარსკვლავთა სიმრავლისაგან. მართლაც, ცის ამ არეში სუსტი ვარსკვლავები ისე შორს არიან, რომ შეუიარაღებელი თვალით ვერ ვარჩევთ. ისინი ქმნიან განათებულ ფონს, მაგრამ მცირე გადიდებლობის ტელესკოპშიაც კი ეს განათებული არე იშლება და თეთრი ღრუბლის ნაცვლად დავინახავთ ცალკეულ ვარსკვლავებს.

ჯერ კიდევ წინა საუკუნეებში მრავალი მეცნიერი ცდილობდა დაახლოებით მაინც გამოეცნო, თუ რამდენი და როგორი სხეული ქმნიდა „რძის გზას“.

გამოირკვა, რომ უახლოესი ვარსკვლავები ქმნიან ვარსკვლავედების სურათს, ასე ვთქვათ წინა ხედს, ფასადს, ხოლო „რძის გზა“ წარმოადგენს ურიცხვ ვარსკვლავთა შორეულ ფონს. მთლიანად ეს ვარსკვლავები ქმნიან გრანდიოზულ ერთ სისტემას, ერთ ვეება კუნძულს სამყაროს უსაზღვრო სივრცეში. ჩვენი მზე, როგორც ერთი წევრი, ერთი საშუალო სიდიდის ვარსკვლავი, შედის ამ გიგანტურ ვარსკვლავთ სისტემაში — გალაქტიკაში.

გამოირკვა, რომ გალაქტიკურ სისტემას აქვს უზარმაზარი სიდიდის შებრტყელებული ლინზის ფორმა, რომლის დიდი დიამეტრი 100.000 „სინათლის წელიწადს“ უდრის, ხოლო მცირე დიამეტრი — 10000 „სინათლის წელიწადს“.

ერთი შეხედვით გვეგონება, რომ „რძის გზა“ წარმოადგენს ციურ სხეულთა უწესრიგო დაჯგუფებას, მაგრამ, ღრმად შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ მასში შედის განსაკუთრებული სფერული და სხვაგვარი ფორმის ვარსკვლავთ გროვები. გალაქტიკაში შემავალი ცალკეული ვარსკვლავები, თუ ვარსკვლავთა გროვები, მოძრაობენ მის სივრცეში დაახლოებით სამასი კილომეტრის სიჩქარით წამში. მთლიანად ვარსკვლავთ ის გროვა, რომელშიაც ჩვენი მზე შედის, მოძრაობს 275 კილომეტრის სიჩქარით წამში, გალაქტიკის ცენტრის, ესე იგი იმ არის გარშემო, სადაც სხვა არეებთან შედარებით ყველაზე უფრო მჭიდროდაა ვარსკვლავები. მზე ამ ცენტრიდან 33000 „სინათლის წლითაა“ დაცილებული და მის გარშემო ერთხელ შემოვლას 200.000.000 წელიწადს ანდომებს, ესე იგი დედამიწამ თავისი არსებობის მთელ მანძილზე მზესთან ერთად გალაქტიკის ცენტრს დღემდე მხოლოდ 15-ჯერ შემოუარა.

გალაქტიკის სივრცეში აღწერილი მრავალგვარი ვარსკვლავის გარდა შემჩნეულ იქნა გაზობრივი მტვროვანი ღრუბლები — ნისლეულები. თავიანთი გარეგნული ფორმითა და შედგენილობით ეს ნისლეულები მრავალგვარია: ზოგი თვითმნათი გაზია, ზოგი შედგება გაზისა და კოსმიური მტვერისაგან, რომელიც განათებულია მასში მყოფ გიგანტურ ვარსკვლავთა სინათლით. გალაქტიკის ზოგი არე სრულიად ბნელია და გვეგონება, რომ ამ არეებში სრულებით არაა ვარსკვლავები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ არეებში ვარსკვლავების სხივებს ეღობება ვეებერთელა ზომის ბნელი ნისლეულები.

დღევანდელი გამოთვლებით მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ გალაქტიკის სისტემაში დაახლოვებით ასორმოცდაათი მილიარდი ვარსკვლავი შედის, ხოლო ამ სისტემის საერთო მასა უდრის 230 მილიარდ მზის მასას. აქედან მასში შემავალი ნისლეულების მასა ასი მილიონი მზის მასის ტოლია. ჩვენი ეს სამყარო, ჩვენი გალაქტიკური სისტემა, მიუხედავად თავისი გრანდიოზულობისა, მაინც წარმოადგენს ვარსკვლავთ სისტემის მცირე კუნძულს დიდ სამყაროში, სადაც ასეთი გალაქტიკების რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვენს გალაქტიკაში ვარსკვლავთ რიცხვი.

დოცენტი **გიორგი თევზაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ე გ ო ბ რ ო ბ ა

სიედა საიდაინი

★

ეს მოთხრობა დაწერა ცხრა წლის ინდოელმა გოგონამ **სიედა საიდაინმა.**

ამ მოთხრობამ პროგრესული მწერლის შანკარას სახელობის კონკურსზე პირველი პრემია მიიღო და დაიბეჭდა ინდოეთის ჟურნალში „მშკიდობისათვის".

★

გასულ წელს ჩვენი ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად დელში. პირველ ხანებში მარტოობას ვგრძნობდი.

ერთხელ მამამ თქვა:

— რა ზარმაცი ხარ, რატომ ზიხარ სულ შინ და არ გადიხარ ქუჩაში?

მე არ მითქვამს რათ არ მინდოდა გასვლა ქუჩაში, მაგრამ თქვენ კი შემიძლია გითხრათ.

ჩვენი ჩასვლის პირველ დღეებში ძალიან მინდოდა გოგონებთან თამაში, ისინი კი არავითარ ყურადღებას არ მაქცევდნენ. ერთხელ ჩვენი მეზობლის გოგონამ, შინ მიმიწვია. მალე მისი ამხანაგებიც მოვიდნენ. ერთმა მათგანმა მოულოდნელად მკითხა:

— რომელ კარჩაკეტილთა ჯგუფისა ხარო?

მე ვუპასუხე, არ ვიცი-მეთქი. შინ მამას ვკითხე და მიპასუხა:

— კარჩაკეტილობა ჩვენ არ გვწამსო.

მეორე დღეს ქუჩაში რომ გაველ, გოგონამ ისევ მკითხა:

— ვინა ხარ? რომელ კარჩაკეტილთა ჯგუფს ეკუთვნიო?

— კარჩაკეტილობა ჩვენ არ გვწამს-მეთქი — ვუპასუხე.

მაშინ მეორემ გაგულისებით მკითხა:

— მაჰმადიანი ხარ თუ ინდოელი?

მე ვუპასუხე, რომ მაჰმადიანი ვყავი. გოგონები მაშინვე ჩამომშორდნენ, რამაც ძალიან შეშაფუთა. მეორე დღეს ქუჩაში აღარ გავსულვარ.

მამას ვუთხარი:

— ჩემთან თამაში არავის არ უნდა, რადგან მაჰმადიანი ვარ-მეთქი.

მამას გაეღიმა და თქვა:

— რა უშავს, ჯერჯერობით უმცროს დასთან ითამაშე და შემდეგ ისწავლი როგორ დაუახლოვდე მეგობრებს

ერთ საღამოს, როცა ჩვენ ყველანი შინ ვისხედით, ზარმა დარეკა: — „ძინ, ძინ!"

მე კარების გასაღებად გავიქეცი. შინ მაღალი ტანის გრძელწვერა კაცი — სიახი შემოვიდა, თან ცოლი და ჩემოდენა გოგონა ახლდა. მათ დანახვაზე ოთახში შევირბინე, მაგრამ მალე მამამ დამიძახა.

— აი შენი ახალი მეგობარი. — თქვა მან. — აბა, შენი დედოფალა აჩვენე.

გოგონა თან გამომყვა. ძალიან მხიარულად ვთამაშობდით. როდესაც სტუმრები წავიდნენ, მამას ეკითხე:

— რატომ იყვნენ ისინი ჩვენთან?

— ძალიან გულკეთილი ხალხია, — მიპასუხა მამამ. — გაუგიათ, რომ მეზობლის გოგონებს არ უნდათ შენთან თამაში და თავიანთი გოგონა მოიყვანეს.

მას შემდეგ ის გოგონა ჩემი მეგობარი გახდა. სულ მალე სხვა გოგონებმაც დაიწყეს ჩემთან თამაში და ახლა ჩვენ ყველანი მეგობრები ვართ

ერთხელ ჩემმა უფროსმა დამ, რომელიც თავის თავს ჭკვიანად თვლიდა, მკითხა:

— სიედა, რამდენი გყავს ახლა შენ მეგობრები?

— ძალიან ბევრი. — ვუპასუხე მე.

— ვინ არიან ისინი?

— ისინი პატარა გოგონები არიან: ინდოელები, მაჰმადიანები. ჩვენ ახლა პატარა საკუთარი კლუბი გვაქვს. ჩვენ მას „ბედნიერი ბავშვების კლუბი" ვუწოდეთ.

მაშინ მამამ თქვა:

— ქვეყნად ძალიან ბევრი ხალხია და, თუ ისინი ყველანი ასეთი მეგობრები გახდებიან, როგორიც თქვენა ხართ, მაშინ მათ შეიძლება შექმნან ერთი კლუბი „ბედნიერი ბავშვებისათვის" მთელს მსოფლიოში როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია ყოველივე ეს?

— ვფიქრობ, რომ შეიძლება.

თარგმანი ნ. თოფჩიშვილისა

ნახ. **ალ. ბანძელაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიონერული ახალი ამბები

ნორჩ ნატურალისტთა საკავშირო შეკრება

12 აგვისტოს მოსკოვში ჩატარდა ნორჩ ნატურალისტთა საკავშირო შეკრება, მიძღვნილი ბუნების დიდი გარდამქმნელის ი. ვ. მიჩურინის დაბადების 100 წლისთავისადმი. შეკრება გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიაზე. ექვსასამდე ნორჩი მიჩურინელი, რომელთა დიდი უმრავლესობა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა, შეკრებაზე მოვიდა საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან — თავისი მიღწევებით, ექსპონატებით, ხილით, ბოსტნეულით, სოფლის მეურნეობის მანქანა-მოდელებით.

ნორჩმა ნატურალისტებმა დროშებითა და ყვავილებით ნორთეს მიჩურინის ძეგლი, რის შემდეგ შესდგა პლენარული სხდომა. აკადემიკოსმა პ. ლ. იაკოვლევმა დელეგატებს მოუთხრო მიჩურინის ცხოვრებაზე და მოღვაწეობაზე.

ნორჩ ნატურალისტთა შეკრება 5 დღეს გაგრძელდა.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ყველა პავილიონის კარი ღია იყო ნორჩი ნატურალისტებისათვის.

ვალგა და ვალკა

ვალგა და ვალკა ორი მოძმე რესპუბლიკის — ლატვიისა და ესტონეთის ორი ქალაქია. გეოგრაფიულ რუქაზე წრეები, რომლებიც ამ ქალაქებს აღნიშნავენ, ერთმანეთზეა მიტყუპებული. მართლაც, ესაა თითქმის ერთი ქალაქი, შუაზე გაყოფილი პაწია მდინარით, რომლის ნაპირზე ამ რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ბურჟუაზიული ესტონეთისა და ლატვიის მესაზღვრეები იდგნენ.

ეს იყო ძველად. ახლა ვალგელი და ვალკელი პიონერებისათვის არ არსებობს სახელმწიფო საზღვარი. საერთო პიონერული შეკრებები, საერთო საღამოები, საერთო სპორტული სპარტაკიადები ჩვეულებრივი მოვლენაა ამ ორი ქალაქის პიონერულ ცხოვრებაში.

გასულ თვეს ტბაზე, რომელსაც ლატვიელები ზაგიუს, ხოლო ესტონელები ვესკიარვს უწოდებენ, შედგა ესტონელი და ლატვიელი პიონერების მეგობრული შეხვედრა.

პოლკა, ვალსი, რიტენრეტისი, კაერაიანი, ესტონური და ლატვიური ხალხური ცეკვები და სიმღერები ერთმანეთს სცვლიდა. ხელიხელჩაკიდებული დაჰქროდნენ ბავშვები, ვერ გაარჩევდა რომელი იყო ლატვიელი და რომელი ესტონელი. ერთად ისვენებდნენ ისინი იმ დღეს და უკვირდათ, ალბათ, რომ ოდესღაც, როცა მათი მშობლები ბავშვები იყვნენ, პაწია მდინარე ჰყოფდა მათ ცხოვრებას.

ოცი წლისთავი



შესრულდა 20 წელი თბილისის მცირე რკინიგზის დაარსებიდან. 31 ივლისს ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გაიხსნა საქართველოს ნორჩ რკინიგზელთა შეკრება, რომელსაც მრავალი სტუმარი დაესწრო.

პარკის საზაფხულო თეატრში, საზეიმო სხდომაზე თბილისის რკინიგზის უფროსმა გ. ბერიძემ მოაგონა დამსწრეებს ამ რკინიგზის საინტერესო ბიოგრაფია; მოუთხრო ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის დაუშრეტელი ზრუნვის შესახებ, რასაც თბილისის მცირე რკინიგზის მშენებლობისადმი იჩენდა. გ. ბერიძემ გააცნო პატარებს, რომ ეს რკინიგზა მათმა უფროსმა დებმა და ძმებმა ააშენეს. ახლა მრავალი მათგანი რკინიგზის ტრანსპორტის სპეციალისტია.

სიტყვაში გამოვიდნენ, აგრეთვე, თბილისელი და რაიონებიდან შეკრებაზე ჩამოსული ნორჩი რკინიგზელები.

სხდომის დახურვისას თავმჯდომარემ მცირე რკინიგზის საიუბილეო რეისზე მიიწვია საზოგადოება. მატარებელი აივსო ბედნიერი თაობით.

საღამოს მოეწყო ექსკურსია თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილების დასათვალიერებლად.

ნორჩ ნატურალისტთა ბანაკი



ეს იყო ახალი მოვლენა არა მარტო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, არამედ მთელი ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაშიც: თბილისში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტერიტორიაზე წელს პირველად გაიხსნა და მთელი საზაფხულო არდადეგების მანძილზე მუშაობდა ნორჩ ნატურალისტთა ბანაკი, სადაც პიონერები ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლების დახმარებით ეცნობოდნენ მცენარეულობით მდიდარ ინსტიტუტის ბაღს, სწავლობდნენ თბილისის მიდამოების მცენარეულობას, აჭდენდნენ ცდებს, სწავლობდნენ ახალი ჯიშების გამოყვანას და სხვა აგროწესებს, აწყობდნენ ექსკურსიებს მცენარეულობით მდიდარ ადგილებში.

ნორჩი ნატურალისტები გაეცნენ ინსტიტუტის ლაბორატორიებს, მუზეუმს. ეწყობოდა პიონერების ნამუშევრების, ჰერბარიუმების, მწერების კოლექციების გამოფენა.

ნორჩმა ნატურალისტებმა მადლობის ნიშნად ინსტიტუტის დირექციას გადასცეს თავიანთი ჰერბარიუმების ნაწილი, დენდროლოგიურ მუზეუმში სტუდენტი ახალგაზრდობის სწავლების პროცესში გამოყენებისათვის.

ნორჩ ნატურალისტთა ბანაკის პიონერულ ოთახში გამოშვებული გაზეთები „ნორჩი ნატურალისტი", „განთიადი", „ფოტოგაზეთი" ნათლად მეტყველებენ პიონერების მიერ ბანაკში მიღებულ დიდ შთაბეჭდილებებზე.

ᲭᲐᲝᲒᲨᲘ ᲛᲝᲚᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲣᲚᲘ
ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ

ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲕᲘᲛᲐ

1804 წელს ესპანეთის ერთ კუთხეში ძლიერი ბრიგალის დროს ციდან წამოვიდა ხორბლის წვიმა. ორი წლის შემდეგ გერმანიაში მოხდა კიდევ უფრო უცნაური სანახაობა: ციდან მოულოდნელად ცვენა იწყო ზღვის კიბოებმა, რაც ნახევარ საათს გაგრძელდა. მოსახლეობა გაკვირვებული დარჩა, ვინაიდან ვერ გაეგოთ ამ მოვლენის გამომწვეები მიზეზები. ანალოგიურ მოვლენას სხვა დროს ადგილი ჰქონდა შოტლანდიაში, მაგრამ აქ კიბოების მაგივრად ჰაერიდან თევზებმა იწყეს ცვენა. თევზებით დაფარა არა მარტო მიწა, არამედ იმ სახლების იატაკებიც, სადაც ამ დროს შემთხვევით ფანჯრები ღია იყო. მეცნიერებამ თავის დროზე ახსნა და დაამტკიცა, რომ მომხდარი მოვლენები არავითარ საფუძველთან არ არის დაკავშირებული. ხორბლის წვიმა გამოწვეული ყოფილა იმით, რომ ჩრდილო აფრიკაში ძლიერ ქარიშხალს დაუნგრევია პურის ბეღლები, აეტაცია ხორბალი ჰაერში და გადაუტანია ძლიერ შორ მანძილზე ესპანეთში, სადაც იგი წვიმის სახით წამოვიდა მიწაზე.

თევზების ცვენას ჰაერიდან მიწაზე იწვევს ძლიერი ქარბორბალას მოქმედება, რომელიც ზოგჯერ ზღვებიდან წყალთან ერთად ატყორცნის თევზებს, ან კიბოებს ჰაერში, მიაქვს იგი შორ მანძილზე, შემდეგ კი, როცა რამდენადმე ამინდი დაწყნარდება, აღნიშნულ ზღვის ცხოველებს ისევ დედამიწაზე ჰყრის წვიმის სახით.

ᲑᲝᲢᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲕᲮᲔᲪᲔ

კასპეთში, წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე გადაპიმულია ბრწყინვალე დეკორატიული პარკი. ამ პარკის მცენარეები შეგროვილია მსოფლიოს 24 ქვეყნიდან.

ოცი წლის წინ ახალგაზრდა აგრონომმა, სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა ირაკლი ხმალაძემ განიზრახა ბზის ბუჩქებისაგან დაეფორმებინა ნიანგის თავი. ერთ ბუჩქს ცხოველის ტანის ფორმა მისცა, მეორე კი ისე გაზარდა, რომ ღია პირის ფორმა მიიღო... შემდეგ ბუჩქები ნიადაგში გადარგა და ისე შეაერთა, რომ ნიანგის ფიგურა გამოვიდა.

„ნიანგი“ 16 წლისაა. სიგრძით — რამდენიმე მეტრია. ყოველ 2-3 დღეში ფაქიზად კრეჭენ. ახლა ხმალაძის მზრუნველობის ქვეშ მარტო „ნიანგი“ არ არის. ბოლო წლებში „ნიანგის“ გვერდით გამოჩნდა „ვეფხი“, კენკრის ბუჩქისაგან „გაიზარდა“ ძაღლი, ურთხელისა და წითელი ხიდან — „ფარშევანგები“, „მწყრები“, ბზიდან — პატარა „დათუნია“ და სხვა მწვანე „მხეცები“ და „ფრინველები“.

„სამხეცე“ თანდათან იზრდება და ივსება.

პროექტშია — მთელი სუქეტები ზღაპრებიდან და იგავ-არაკებიდან.

ადამიანს უძნელდება რბილ და ნოტიო ნიადაგზე სიარული. ერთი ნაბიჯი, მეორე — და ფეხები ჩაეფლობა. ეს ტრაქტორი კი, რომელსაც ნახატზე ხედავთ, თორმეტ ტონას იწონის და ადვილად დადის არა მარტო მჩატე ნიადაგზე, არამედ ჭაობზეც. მისი გავლის



შემდეგ ღრმა კვალიც არა რჩება, — მიდის ფაფუკათებიანი დათვივით.

ორი უზარმაზარი მუხლუხო — თითოეული მათგანი სიგანით მთელი მეტრია... ეს ორჯერ უფრო განიერია, ვიდრე ამავე სიძლიერის ჩვეულებრივი ტრაქტორის მუხლუხო. განიერი და გრძელი მუხლუხოები თანასწორად ანაწილებენ მანქანის სიმძიმეს ნიადაგის დიდ მოედანზე. მის ყოველ კვადრატულ სანტიმეტრზე 0,28 კილოგრამამდე მოდის. ეს შესამჩნევად ნაკლებია იმ დაწოლაზე, რომელსაც ადამიანის ფეხი აწარმოებს მიწის თითოეულ კვადრატულ სანტიმეტრზე.

ჭაობში მოსიარულე ტრაქტორს უშვებს ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანა, ჭაობიანი მიწების ამოსაშრობად.

რძის ხე

ეკვადორში, ვენესუელას ჩრდილოეთ ზღვის ნაპირებზე და ლათინური ამერიკის სხვა მხარეებში ვხვდებით აშოლტილი გლუვქერქიანი ტრაპიკული ხეების ჯალებს, რომლის ტყავისმაგვარი მბზინავი ფოთლები ჩვენი შინაური ფიკუსის წვრილ ფოთლებს წააგავს. მისი ნაყოფი არ იკმება. ხე ძვირფასია რძისებური წვენით, რომელიც გაჭრილი ქერქიდან მოედინება.

გაჭრილი ქერქიდან საათის განმავლობაში შეიძლება ერთი ლიტრი წვენის მიღება, რომელსაც მოსახლეობა რძის მაგიერ ხმარობს. ვინაიდან ეს წვენი დიდხანს ვერ სძლებს — სქელდება და მწარდება — ხეს „სწველიან“ საჭიროების მიხედვით წლის ყოველ დროს. წვენის აორთქლებისას გამოიყოფა სანთლისმაგვარი ნივთიერება, რომელსაც სანთლის გასაკეთებლად ხმარობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩინური ჭადრაკი

თ. გიორგაძის რედაქციით

ჩინეთში მრავალი საუკუნეა ფართო პოპულარობით სარგებლობს ჩინური ჭადრაკი — სიანცი.

სიანცი იმდენად მიმზიდველია, რომ მასზე ლეგენდებია შეთხზული. ერთერთი მათგანი მოგვითხრობს: ვინმე შეშის დამპობი ვან ცი ერთხელ მთაზე ასულა, სიანცის მოთამაშე ორი ახალგაზრდა შეუნიშნავს, ნაჯახი იქვე დაუდვია და თამაშისათვის დაუწყია ყურება.

როდესაც თამაში დამთავრებულა, ვან ცის ნაჯახის ტარი დამპალი აღმოჩენილა, სოფელში დაბრუნებულს თავისიანები ვეღარ უნახავს — ყველა გარდაცვლილიყო. თურმე თამაშში ორასი წელი გასულიყო.

სიანცი დიდად განსხვავდება ჩვენი ჭადრაკისაგან. დაფის 64 უჯრა ერთი ფერისაა და მას ორ ნაწილად ჰყოფს ნეიტრალური ზონა, რომელსაც მდინარე ეწოდება. თითოეულ მეტოქეს, ისე როგორც ჭადრაკში, თექვსმეტი ფიგურა აქვს, რომლებიც ერთმანეთს ძალზე ჰგვანან. განსასხვავებლად ფიგურებს წარწერები აქვთ გაკეთებული. სიანცის ფიგურები ბრტყელი და მრგვალია.

ჩინურ ჭადრაკში მეფეს ეწოდება გენერალი, ეტლს — ჩინურადაც ეტლი, კუს—მრჩეველი, მხედარს—მხედარი, პაიკებს — სალდათები. ჩვენს ჭადრაკთან განსხვავებით სიანცში არსებობს ორ-ორი მეცნიერი, რომელთაც გენერლის დაცვა ევალებათ. არის აგრეთვე ზარბაზანი, რომელიც ეტლივით მოძრაობს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ქიშს აცხადებს და ფიგურას კლავს მაშინ, როცა მათ შორის სხვა რომელიმე ფიგურა მდებარეობს.

ჩინურ ჭადრაკში არ არის ლაზიერი, ამიტომ მთავარ შემტევ ძალას ეტლი და ზარბაზანი წარმოადგენს.

სიანცმა განსაკუთრებით დიდი გავრცელება ჰპოვა ჩინეთში სახალხო რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. პეკინში, ნანკინში, შანხაიში და სხვა ქალაქებში გაიხსნა სიანცის კლუბები, სადაც რეგულარულად ეწყობა შეჯიბრებები.

ჩინელ ხალხს უყვარს თავისი ეროვნული თამაში, მაგრამ ჩინელები ინტერესით ეუფლებიან ჩვენს ჭადრაკსაც.

შინაარსი

		გვ.
ალეკო შენგელია	— სიმღერა სკოლაზე (ლექსი)	1
ლადო მრელაშვილი	- შერიგება (მოთხრობა)	2
რუსუდან პერკინა	— მეგობრობა (წერილი)	8
სიმონ შამფრიანი	— სტუმრად მოსკოველ პიონერებთან (ლექსი)	9
სოსო იორამაშვილი	— გმირის ბავშვობა (მოთხრობა)	10
ხუტა ბერულავა	— ბავშვთა მეგობრებს (ლექსები)	15
ნორჩ მოგზაურთა რესპუბლიკური შეკრება (ფოტონარკვევი)		16
ლევ კასილი	— ადრეული განთიადი (მოთხრობა, დასასრული. თარგმნა ბ. შელიამ)	18
პაოლო იაშვილი	— ოთარ შოთერი (ლექსი)	22
მონღოლური ხალხური ზღაპარი — ვინ უფროსია?		23
ოთარ შალამბერიძე	— გვეგებებიან სკოლები (ლექსი)	24
ოთარ კუპრავა	— კომკავშირელი გავხდები მალე (ლექსი)	24
ვასილ სმირნოვი	— ბალადა პიონერზე (ბალადა, თარგმნა ალ. ბეგაშვილმა)	24
გიორგი თევზაძე	— ვარსკვლავები (ასტრონომიის საუბარი)	25
სიედა საიდაინი	— მეგობრობა (მოთხრობა, თარგმნა ნ. თოფჩიშვილმა)	29
პიონერული ახალი ამბები		30
მოკლედ ყველაფერზე		31
ჭადრაკი		32
მოსწავლეთა შემოქმედება		გარეკ. 3

გარეკანის პირველ გვერდზე „კედლის გაზეთში გასწერეს“ — ნახ. **რ. ცუცქირიძისა.** გარეკანის მეორე გვერდზე „ნორჩ მოგზაურთა ქალაქში“ — ფოტო **გ. ვახტანგაძისა.** გარეკანის მეოთხე გვერდზე „დარიალი“ — ნახ. **ვახტანგ ჯაფარიძისა.**

ჟურნალი გაფორმებულია მხატვრების: **ალ. ბანძელაძის, გ. თოთიბაძის, კ. მახარაძის, ნ. მალაზონიას** და **რ. ცუცქირიძის** მიერ.

რედაქტორი **რევაზ მარგიანი**

სარედაქციო კოლეგია: რ. ელანიძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი, ბ. შელია, ვ. ჭელიძე.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. сентябрь, № 9, 1955. Тбилиси, Ленина, 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85. საბლიტგამი.

უე 06470 ტირაჟი 13.000 ხელმოწ. დასაბ. 15/IX გამომც. შეკვ. № 331 სტამბის შეკვ. № 1073 პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“

БИБЛИОТЕКА

მოსწავლეთა შემოქმედება

სალამი სკოლავ!

ბანაკო, გტოვებთ, მივდივართ,
თავს დაგვფრიალებს ალამი;
მხიარულ ტყეებს ვშორდებით,
მერხებო, ჩვენი სალამი!

დასრულდა ტკბილი ზაფხული,
უკან ზურმუხტი მთებია,
სკოლაში ტოლ-მეგობრები
და ალმზრდელები გვხვდებიან.

ჩვენი სიმღერა გუგუნებს,
ბანს მოგვძახიან ველები,
შორს, მეგობრობის კოცონებს
ოცნებით თავზე ვევლებით.

ისმის: დიდება სამშობლოს, —
გულში რომ შუქად ანთია!
ბედნიერ ბავშვობისათვის
მადლობა დიად პარტიას!

იზოლდა ღლონტი,
მახარაძის რაიონის სოფ. შრომის საშ. სკოლის მოსწავლე.

მოგონება ბანაკზე

ო, ეს რა სხივები
იფრქვევა მაღლიდან!
ნიავი მდელოსკენ მიჰქრის...
ჭადრებში თოვლივით
სპეტაკი სახლი და
თოვლივით სპეტაკი ფიქრი.

გულს თქვენი შრიალი
ახარებს, ველებო,
და წყაროს შხეფები წმიდა.
გაფრენა მწყურია,
ციცინათელებო,
მეც თქვენთან გაფრენა მინდა!

აღელდა კოცონი —
ვეება პატრუქი,
ძეწნები ირხევა მიჯრით.
სიმღერა, ცეკვები
და ტაშის ქარბუქი,
ოცნება ჭადრების ჩრდილში...

ოცნება ჩუმი და
ფოთლების შრიალი,
ტოლებმა მომხვიეს ხელი.
ამდენი სიმღერით,
ამდენი წკრიალით
დაშრება ლერწამის ყელიც.

ლიანა სტურუა,
თბილისის 24-ე საშ. სკოლის მოსწავლე.

უკრაინელი ბიჭის ნათქვამი

უკრაინიდან მოვსულვარ,
ო, როგორ მსურდა მენახე,
შენს მიწას ვეთაყვანები,
შენს ბაღებსა და ვენახებს.

მშობელ კიევში ვიყავი,
გორო, ოცნებით გხედავდი;
თითქოს შენს მზიან ქუჩებში
ღიმილს მაფრქვევდა ბელადი.

უკრაინიდან მოვქროდი,
დიდმა გზამ როდი დამღალა...
მოველ და შენი დიდების
მზემ შუქი გადმომაღვარა.

გვერდით მყავს მოძმე ქართველი,
ბელორუსი და ყირგიზი.
მკერდზე ალისფერ ყელსახვევს
მზესავით გააქვს გიზგიზი.

თითქოს კიევის ბაღში ვართ,
თვალს გვჭრის ყვავილთა ფერები.
ლხინით, ზეიმით შემოგვხვდნენ
ქართველი პიონერები.

უკრაინიდან მოვსულვარ,
გორო, მინდოდა მენახე.
შენს მიწას ვეთაყვანები,
შენს ბაღებსა და ვენახებს!

მიხეილ აბუანდაძე,
სიმონეთის საშ. სკოლის მოსწავლე.